



ახალი ბანათლები

№34 (748) ბაზრის 1998 წლიდან

10 - 16 ნოემბერი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

www.axaliganatleba.ge

სქემის საკონსტრუქციო წლის შეფასება

მანანა რატიანი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ცენტრის დირექტორის მოადგილე

სქემას აქვს ახალი სახე და ის აქტივობები, რომელიც მასწავლებლებს თავიანთი შესაძლებლობების სრულფასოვნად და მრავალმხრივად წარმოჩენის საშუალებას მისცემდა.

ქალიან მნიშვნელოვანია, რომ ის არასაბაკვეთილო აქტივობები, რომლებსაც მასწავლებლები ასრულებდნენ (გვერდ კარგ სკოლაშია მსგავსი საქმიანობა), კრედიტულებით დაუფასდეთ. ამ მიმართულებით, აუცილებლად იქნება ცვლილებები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სანდო და საკლუზო მუშაობა, რომელსაც მასწავლებელი მთელი წლის განმავლობაში ეწევა.

საკრედიტო მუშაობა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი კომპონენტია და ეს აქტივობაც, რა თქმა უნდა, კრედიტებით შეფასდება.

არც შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან მუშაობა მასწავლებლები უნდა დაგვაინტერესდეს. ამ კომპონენტს აუცილებლად შევიტანთ სქემაში და ავსახავთ კრედიტულად.

გვერდი 3



ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის
მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა
ESPAD
გვერდი 8

მოსწავლე მასწავლებელში უნდა ხედავდეს ადამიანს, რომელიც მის მხარესაა



სტუდენტია
ლევან ზარდალიშვილი,
საგანმანათლებლო
დაწესებულებების მანდატურის
სამსახურის უფროსის
მოადგილე, მანდატურის
სამსახურის ფსიქოლოგიური
ცენტრის დამფუძნებელი


გვერდი 4

კვლევაზე დასაყრდენად

კითხვისა და წერის სწავლება

გვერდი 6

ცვლილებები ხარისხიანი უმაღლესი განათლებისთვის



განათლების სფეროში
მიმდინარე რეფორმის
კვლევაზე დასაყრდენად,
ვითარდება და იცვლება
ცენტრის პრიორიტეტები.
სწორედ მიმდინარე
მნიშვნელოვანი
პროცესების შესახებ
გვესაუბრა
განათლების ხარისხის
განვითარების
ეროვნული ცენტრის
ხელმძღვანელი
თამარ სანიკიძე

გვერდი 2

ინტერვიუ

სვლილებები ხარისხიანი უმაღლესი განათლებისთვის

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2010 წლიდან ფუნქციონირებს. მისი მიზანი, განათლების ხარისხის შიდა და გარე მთავარი მაჩვენებლის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, მოსწავლეთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა თუ აკადემიური პარსონალის თავისუფალი გადაადგილებისთვის, სწავლის, კვლევისა და დასაქმებისთვის მოქნილი,

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიქანიზმების შექმნაა.

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის კვლავი იხვეწება, ვითარდება და იცვლება ცენტრის პრიორიტეტები. სწორედ მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ გვესაუბრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი თამარ სანიკიძე.



ლელად, ითხოვს სრული დატვირთვის მქონე პროფესორს (მოთხოვნა განპირობებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად), ხოლო უნივერსიტეტი ირჩევს მონეულს და ასაბუთებს იმით, რომ, ამ შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად, ის უპირატესობას პრაქტიკოს სპეციალისტს ანიჭებს. დავის საგანიც ესაა – რომელი უფრო უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, კრიტერიუმების შესრულება თუ მეტი მოქნილობა. ახალი სტანდარტი არჩევანის შეფასების საშუალებას მოგვცემს – ეს კი რადიკალურად სხვა მდგომარეობაა.

სააპელაციო საბჭო დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც 11 წევრისგან შედგება. მასში წარმოდგენილია სახელმწიფო და კერძო სექტორები, ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. მისი უფლებამოსილება ერთწლიანი ვადით განისაზღვრება, ხოლო თავმჯდომარედ ირჩევენ საბჭოს ერთ-ერთ წევრს. ამჯერად ამ ფუნქციას თსუ-ს პროფესორი აპოლონ სილაგაძე ასრულებს.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სააპელაციო საბჭოს მთავარი ფუნქცია ფორმალურ დარღვევებზე ყურადღების გამახვილება კი არა, გადამწყვეტილებების შინაარსობრივი განხილვა და შეფასება იქნება, რაც წინა გადადგმული ნაბიჯია და უთუოდ შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, შესაბამისად, მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას.

– პროფესიულ კვალიფიკაციაზე ხელშეწყობის პროგრამების კუთხით თუ გვაქვს რაიმე სიახლე?

– ეს მიმართულება ცენტრის საქმიანობის ამოსავალი წერტილია. სხვა დანერგვები, რომელიც ამაზე იზრუნებს, არ არსებობს. ახლა ძალიან სერიოზული პროცესი მიმდინარეობს – ჩვენი საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, აუცილებლად გასაკეთებელია. იმდენად გაზრდილია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოხილვა, რომ თუ არ გასწავლავ ჩვენი საკვალიფიკაციო ჩარჩოს ხარვეზები, პრობლემები ექნება სახელმწიფო სწავლისათვის თუ მუშაობის მსურველებსაც და საერთაშორისო სტუდენტებსაც, რომლებიც უკვე არც ისე ცოტაა საქართველოში. სწორი კვალიფიკაციების განსაზღვრა და შესაბამისი დირექტივებით პროგრამების განხორციელება პირდაპირ არის ხარისხიანი განათლებისა და პროფესიის მიღწევისათვის დაკავშირებული, რაც შემდგომ დასაქმებაში აისახება. პრობლემა იმაშიც არის, რომ ჩარჩოს ხარვეზის გამო, სხვა ქვეყნებს უჭირთ საქართველოში მიღებული განათლების აღიარება. კვალიფიკაციების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით საყურადღებოა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცეში საქართველოს ინტეგრირების ნაწილი. რომ შევაჯამოთ, საკმარისზე მეტი მიზეზი გვაქვს იმისათვის, რომ ეს საქმე დროულად და კვალიფიკაციურად დავასრულოთ. ამ მიმართულებით დიდი წილი სამუშაოს უკვე შესრულებულია და განათლების სამინისტროსა და უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, დარჩენილ განსახილველ საკითხებზე შეთანხმების შემდეგ, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოც თანხვედრაში მოვა ევროპულ დოკუმენტთან, რაც ავტომატურად მოხსნის ბევრ პრობლემას.

– ქალბატონო თამარ, სიახლეები, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხება. რას იტყვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიული განათლების შესახებ, აქაც ხომ არის პრობლემები განათლების ხარისხის კუთხით?

– გეტანხმებით, თუმცა პროფესიული განათლების მიმართულებით ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ როგორც ინფრასტრუქტურული, ისე პროგრამებისა და სტანდარტების დახვეწის მიმართულებით. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა მოდულური სწავლების პროგრამისა და დუალური მიდგომის მოსინჯვა, რაც ერთდროულად გულისხმობს სწავლასა და მუშაობას; ძალიან აქტიურად შემოვიდა ამ სფეროში დამსაქ-

– რას დაასახელებთ მიმდინარე წლის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ?

– უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, სიახლეების კუთხით საინტერესო იყო ბოლო თვე, რადგანაც დასრულდა მუშაობა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. ეს იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სააპელაციო საბჭო, რომელიც ახალი რგოლია ჩვენს სისტემაში და ამავდროულად, განახლდა ყველა არსებული საბჭოს შემადგენლობა.

რა თქმა უნდა, ავტორიზაციის სტანდარტი, შესაბამისი პროცედურებით, წლების განმავლობაში მოქმედებდა საქართველოში და ამ კუთხით საკმაოდ გამოცდილებაც აქვს ცენტრს, მაგრამ, გარკვეულ ეტაპზე, დადგა მისი გადახედვის საჭიროება, რადგან ამ სტანდარტით ვერ მოხერხდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა იმ დონეზე, რასაც ველოდით, თუმცა, მანამდე არსებული ბევრი პრობლემა გადაიჭრა. ვითარების გაუმჯობესების მიზნით, პირველ რიგში, გავაკეთეთ რამდენიმე სახის შეფასება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შევისწავლეთ საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის 13 საუკეთესო ქვეყნის გამოცდილება და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცენტრისა და სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უშუალო მოხელეობით, შეიქმნა ახალი სტანდარტი, რომელიც პირდაპირ მოდის შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტთან და, რომელიც, უკეთესად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხარისხის მონიტორინგს, ზოგადად, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას.

– რა განსხვავებაა შეფასების ახალ და ძველ მეთოდებს შორის?

– აქამდე ჩვენ გვექონდა 3 სტანდარტი, რომელიც, ძირითადად, საგანმანათლებლო საქმიანობის ინფრასტრუქტურულ, ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს აფასებდა. ახლა გვაქვს, კანონით დამტკიცებული 7 შეფასების სტანდარტი. განსხვავება ისაა, რომ თვითონ სტანდარტები გაიმიჯნა, დაკონკრეტდა და მივიღეთ უკეთესი სურათი, სადაც მკაფიოდ ჩანს რას ვაფასებთ და რა მეთოდოლოგიას ვიყენებთ; მეორე განსხვავება – შეფასების ახალი სტანდარტი და პროცედურები აღარ არის ორიენტირებული მხოლოდ რესურსის შეფასებაზე, რაც მთავარია, რესურსებთან ერთად, ის შეაფასებს თვითონ პროცესს, როგორ მიმდინარეობს ამ რესურსების უტილიზაცია საგანმანათლებლო პროცესში ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და რა შედეგზე ვადასტურებთ ავტორიზაციის ციკლის ბოლოს. შეფასებები იგულისხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისი და სტრატეგიული გეგმა, კვლევითი კომპონენტი და მისი ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში, რა თქმა უნდა პროგრამების დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხი და მდგრადობა, ინფრასტრუქტურა, ძირითადი და დამხმარე საშუალებები, ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსები, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, მმართველი ორგანოები და მართვის სისტემა. გაჩნდა ახალი სტანდარტი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მხარდაჭერ სერვისებს – რამდენად უწყობს ხელს სასწავლო დაწესებულება სტუდენტს სრულფასოვანი განათლების მიღებას და შემდგომ დასაქმებაში. ეს აუცილებლად უნივერსიტეტების გასაკეთებელი საქმეა. სწორედ აქ უნდა შეფასდეს, რამდენად კარგად არის სტუდენტი აღჭურვილი იმ უნარ-ჩვევებით, რასაც პროგრამის ბაზარი ითხოვს და რამდენად ახერხებენ კურსდამთავრებულები მიღებული ცოდნისა და სპეციალობის მიხედვით დასაქმებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებლები უნივერსიტეტს აუცილებლად დასჭირდება შემდეგი პროგრამების დაგეგმვისთვის – შინაარსის ცვლილების, პროგრამის ჩანაცვლებისა თუ სხვადასხვა გადამწყვეტილებების მიღებისას.

– სწავლების გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა. ამ კომპონენტს რა დონით ითვალისწინებს ახალი სტანდარტი?

– რა თქმა უნდა, ჩვენ ცალკე ვაფასებთ კვლევით კომპონენტს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელს. ასეთი შეფასების საშუალება ადრე არასოდეს გვქონია. ახალი სტანდარტის ამოქმედებით ჩვენ გვეცოდინება, რამდენად მზად არის სასწავლო დაწესებულება, თავისი ადამიანური თუ ფინანსური რესურსებით, კვლევითი საქმიანობისთვის, რამდენად დაახლოებული ან ინტეგრირებული იქნება ეს კვლევითი საგანმანათლებლო პროცესში. ცხადია, ყველა სახის უნივერსიტეტს თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სხვადასხვა დონით მოეთხოვება კვლევების

განხორციელება. ამიტომაც აღვნიშნე, კარგია, რომ სტანდარტები გაიმიჯნა და დაკონკრეტდა, თითოეულს აქვს თავისი შეფასების კრიტერიუმები.

– როცა განხილვა დასრულდება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტი საბოლოო სახეს მიიღებს, როგორ იქნება მისი დანერგვის მექანიზმი?

– ავტორიზაციის პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს მთელი ამ პროცესის ერთ სისტემაში მოქცევას. მოქმედი პროცედურების ფარგლებში გვაქვს გარკვეული პრობლემები, მაგალითად, საქმის წარმოების ნაწილში, როდესაც დანერგვების მიერ წარმოდგენილი განცხადებები ხელით გადაისინჯება. სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე არ არის გამოირიცხული ადამიანს რაიმე შეშალოს ან გამოიჩინოს. არადა ეს ინფორმაცია შემდგომში სჭირდება ექსპერტს, რომელიც ვერ შეფასებს ახორციელებს და წარმოადგენს დასკვნას. როგორ ხორციელდება უშუალოდ შეფასება, რას ითვალისწინებს ექსპერტი და რას არა, რამდენად აქვს შემუშავებული ერთგვაროვანი მიდგომა და ა.შ. მთელი ეს პროცესი – განცხადებები, დასკვნები დამუშავებული მოხვდება ერთ პროგრამაში, რომელზეც წვდომა ექნება საბჭოს წევრს, რომელიც თავისი შეფასების კრიტერიუმებით შეძლებს მკაფიოდ ჩამოაყალიბოს, რომელ სტანდარტთან მიმართებაში რა სახის პრეტენზია აქვს, რას ითხოვს დამატებით და საკუთარი არგუმენტირებული გადამწყვეტილება პროგრამაში ასახოს. ეს მინიმუმამდე დაიყვანს იმ შეცდომების რაოდენობას და სუბიექტურ მიდგომას გადამწყვეტილებების მიღების პროცესში, რასაც სამწუხაროდ, არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

– ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სააპელაციო საბჭოს შექმნა თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან სიახლედ შეაფასებთ, რატომ?

– დიახ, ეს ახალი რგოლია. როცა ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაინტერესდნენ, რა გვაქვს შესაბამისობაში მოსაყვანი, რომ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის სრულფასოვანი წევრი გავხდეთ (რაც ნიშნავს მეტ სანდობას, ევროპული სტანდარტის თანაზიარობას და ყველა იმ სიკეთესთან წვდომას, რაც ჩვენს პარტნიორ ევროპულ ქვეყნებს აქვთ) და ამ კუთხით შეფასდა ცენტრის საქმიანობა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური მიმართულება, მათ შორის, გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ცენტრის შიგნით არ ფუნქციონირებდა. ამის გამო, ერთადერთი ადგილი, სადაც აპლიკანტს (საგანმანათლებლო დაწესებულებას) შეეძლო მიემართა, იყო მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო. თუ გავითვალისწინებთ სფეროს სპეციფიკას, ადვილი წარმოსადგენია, როგორ ყოველმხრივ პრობლემურია ეს გზა. არადა შესაძლოა ძალიან ბევრი რამის გამო არ დაეთანხმოს დაწესებულება საბჭოს გადამწყვეტილებას, შესაბამისად, არც ექსპერტის დასკვნას, რომლის საფუძველზეც საბჭომ მიიღო უარყოფითი გადამწყვეტილება და სადაც ასახულია სტანდარტის ხარვეზები და დარღვევები, რაც გამოსწორებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას გულისხმობს და არა ავტორიზაციის მინიჭებას. არის შემთხვევები, როცა ექსპერტისგან განსხვავებით უნივერსიტეტს საკუთარი არგუმენტები აქვს და ამტკიცებს, რომ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ეს თემები შინაარსობრივი ხასიათისაა და პროფესიულ დონეზე სამსჯელო, რომელსაც სასამართლო, ძირითადად, პროცედურულ დონეზე განიხილავს ხოლმე.

როგორც მოგახსენეთ, სააპელაციო საბჭო სრულიად ახალი რგოლია და სამომავლოდ, შესაძლოა ბევრი რამის დახვეწა და განვითარება გახდეს საჭირო. როცა ვქმნიდით ამ საბჭოს, ბევრი ვიფიქრეთ, რა ფუნქცია მიგვენიჭებინა მისთვის – სწორი იქნებოდა თუ არა მას ჰქონოდა წინა საბჭოს მიერ მიღებული გადამწყვეტილების გაუქმების უფლება. ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე გამართული კონსულტაციებისა და უცხოური გამოცდილების გაცნობის შემდეგ გადაწყდა, რომ სააპელაციო საბჭოს ექნება ორგანო გადამწყვეტილების მიღების უფლება – განხილვის შემდეგ იგი ან დაეთანხმება წინა საბჭოს გადამწყვეტილებას ან შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე განსახილველად დაუბრუნებს, ხოლო თუ გადამწყვეტილების მიმღები საბჭოსთვის წარმოდგენილი არგუმენტაცია საკმარისი არ აღმოჩნდება და ძალიან დატოვებს თავის გადამწყვეტილებას, ამ შემთხვევაში, აპლიკანტი მიმართავს სასამართლოს. მიმაჩნია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან კარგია, როცა პროფესიულ დონეზე შეიძლება სადავო საკითხების განხილვა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა ხშირად და დავის საგანი. მაგალითად, სტანდარტი, ამა თუ იმ პროგრამის განსახორციე-

ინტერვიუ

მეგელი (სოციალური პარტნიორი), რაც უმაღლეს განათლებამდე გავიდა რომ დავენერგოთ. ახალი პროგრამებისა და მიდგომის განხორციელების მიზნით აღდგა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა პროფესიული სასწავლებლები და ა.შ.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სიახლე სტანდარტებთან მიმართებაში, ჯერჯერობით, არ გვაქვს. თუმცა, მუშავდება მონიტორინგის ახალი სისტემა, რომელიც მოიცავს სამივე საფეხურს – სკოლას, პროფესიულ განათლებას და უმაღლეს განათლებას, მისი ამოქმედება წინ

გადადგმული ნაბიჯი იქნება სწორედ შეფასების კუთხით, მათ შორის, სკოლების შეფასებისთვის.

სამომავლოდ კი ყველა ის საკითხი, რომელიც ჩვენი ცენტრის შიგნით მოსაგვარებელია, თანამედროვე ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, ასახულია ჩვენს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც გასაცნობად და განსახილველად გაუფუზავნეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მათგან ველოდებით რეკომენდაციებს. შევთანხმდებით პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიმართულებებზე და უფრო მიზანმიმართულად შევუდგებით

მის განხორციელებას. ასე რომ, გვაქვს ხედვა და გეგმა იმის შესახებ, თუ რა არის გასაკეთებელი. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დროა საჭირო, რომ შედეგი ვნახოთ. თუმცა პროცესი საკმაოდ დინამიურია და იმედი მაქვს, რომ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ და თანმდევი ხელშეწყობის მექანიზმების მეშვეობით, ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეძლებენ თავიანთი სტუდენტებისთვის ევროპული სტანდარტის, ხარისხიანი განათლების მიცემას.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

პროფესიული განათლება

სქემის საკითხი ნლის შეფასება



მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროექტი

განათლების მინისტრმა „მასწავლებელთა საქმიანობის დასყვანის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ ცვლილებები დააანონსა და კადაგომავს დაპირდა კიდევ, რომ: „სქემის ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა (არ მინდა ამ სიტყვის თემა, მაგრამ მაინც გამოვიყენებ), მუშარას, რომ მასწავლებელს შეიძლება სამწლიანად სემსახური დაეპროვინა, უახ-

ლოუს პერიოდში გაქრება.“ განახლებული და სხვა ცვლილებები, რომელიც ჩაიარა სქემის პირველმა საკითხმა ნელმა და რა ხარვეზები გამოიკვეთა მისი დანერგვის პროცესში, რამდენად მასწავლებელმა გაიუმჯობესა კარიერული საფეხური და, შესაბამისად, საკუთარი ბიუჯეტი, ვინაიდან სტატუსის ცვლილება პირდაპირ აისახება ხელფასის დანამატზე. ამ საკითხებზე საუბარი ვითხოვეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილეს მანანა რატიანს.



– რეალურად დიდ ცვლილებებს სტატუსების მიჩქვების მხრივ სქემაში, ერთი წლის განმავლობაში, არ ველოდით, რადგან არის სავალდებულო აქტივობები, რომლებიც არ ამუშავებულა და მასწავლებლებს არ მიეცათ მათში კრედიტულების დაგროვების საშუალება. ეს ეხება მაგაკვეთილო დაკვირვებას, რადგან რუბრიკა, ჯერჯერობით, არ არის დამტკიცებული შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ. ეს აქტივობა კი სავალდებულო იყო შიდა დაკვირვებაში პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლებისთვის, ხოლო როგორც გარე დაკვირვება – უფროსი მასწავლებლებისთვის. მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა სტატუსების რაოდენობებში გარკვეული ცვლილებები მაინც გვაქვს. პირველ რიგში, უფროსი მასწავლებლები, ერთი წლის განმავლობაში, 1 900 მასწავლებელი შეემატა. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა, რომლებსაც პროფესიული უნარების გამოცდა წარმატებით შექონდათ დაძლეული და რომლებმაც საგნის გამოცდა ჩააბარეს, გაუმჯობესეს სტატუსი და გახდნენ უფროსი მასწავლებლები. ამავდროულად, სისტემაში შემოვიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც თავიანთი კვალიფიკაციით უფროსი მასწავლებლის სტატუსი ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, უფროსი მასწავლებლების საკმაოდ დიდი რაოდენობით მატება გვაქვს და დღეს სისტემაში სულ 17 231 უფროსი მასწავლებელია. ვფიქრობ, სქემის ამოქმედებიდან ერთი წლის თავზე, როცა ჯერ კიდევ არ არის ყველა აქტივობა ამოქმედებული, ეს ცუდი შედეგი არ არის.

მი 45 354 პრაქტიკოსი მასწავლებელი მუშაობს.

– პრაქტიკოსი მასწავლებლების სკოლიდან სკოლაში გადასვლების უფლებას თუ იძლევა სქემა, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილების გარეშე?

– რა თქმა უნდა, ამის უფლება პრაქტიკოს მასწავლებლებს აქვთ. 2015 წლის თებერვლისთვის, ყველა მასწავლებელს, ვინც სკოლაში მუშაობდა, შექონდა უფლება, მოეპოვებინა სტატუსი თავისი მიღწევების – გამოცდის ჩაბარების და კვალიფიკაციის მიხედვით. შესაბამისად, მათ მივანიჭეთ სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას გამოიცვლიან და სხვა სკოლაში წავლენ სამუშაოდ, კარიერას თავიდან არ იწყებენ, დაგროვილი კრედიტ-ქულებიც თან მიჰყვებათ და სტატუსიც.

ძალისხმევაა საჭირო. ასეთ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, თავისუფალი გაკვეთილებიც, რომლებიც არ ჯდება 45-წუთიანი გაკვეთილის ფორმატში. რადგან ეს იმის მიღება, რასაც კურიკულუმი სთავაზობს მოსწავლეებს და მასწავლებელს მოსწავლეებისადმი დიდფერენცირებული მიდგომის საშუალებას აძლევს, შესაძლებელია მათი სხვადასხვა ინტერესების მიხედვით დაჯგუფება-გაერთიანება. საბოლოო ჯამში კი, ამით მათ შესაძლებლობა ეძლევათ უკეთ წარმოაჩინონ საკუთარი თავი. სკოლა არ არის მხოლოდ კონკრეტული უნარების განვითარების ადგილი, იქ, ამავდროულად, სოციალური თუ სხვა უნარებიც უნდა ვითარდებოდეს, რომლებიც ეროვნული მიზნების დოკუმენტშია მოცემული. ასევე საუბარია დამატებით პროექტებზე, რომლებსაც მასწავლებლები ახორციელებენ. თავისთავად, ვერც ასეთი პროექტის განხორციელება გახდება შესაძლებელი 45 წუთში. ძირითადად, პროექტი მასწავლებლისგან გრძელვადიან დაგეგმვას, შრომას, დროს, ენერჯიას და რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, საპროექტო მუშაობა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი კომპონენტია და ეს აქტივობაც, რა თქმა უნდა, კრედიტებით შეფასდება.

ასევე, მატება გვაქვს ნამყვან მასწავლებლებშიც და მათი რიცხვი 15-ით გაიზარდა. ვინაიდან შესაბამისი აქტივობები ჯერ არ ამოქმედდებოდა, რომ მასწავლებლებს სტატუსი გაეუმჯობესებინათ, ნამყვანის საფეხურზე შედგა რაოდენობის ზრდა ნამყვანი მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისმა მსურველებმა განაპირობეს. მათთვის სკოლა საინტერესო აღმოჩნდა სამუშაოდ, გადაწყვიტეს სკოლაში შემოსვლა და კვალიფიკაციის შესაბამისად, პირდაპირ ნამყვანის საფეხურზე აღმოჩნდნენ. როგორც გითხარით, 15 მასწავლებელი შემოემატა ნამყვანის სტატუსს და მათი რაოდენობა ახლა სულ 199-ია. ესენი არიან დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლები, ამავდროულად, სერტიფიცირებული, რომლებიც სკოლაში არ მუშაობდნენ.

– სქემაში, ერთი წლის განმავლობაში, საბილოტე რეჟიმში იმუშავა. თქვენი თვალთახედვით, რა ხარვეზები გამოიკვეთა ამ წლის განმავლობაში და რა იყო სქემის ყველაზე სუსტი მხარე, შესაბამისად, რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ?

– სქემის სუსტი მხარე, ალბათ, ის იყო, რომ მასწავლებლების ნაწილი ბევრად უფრო მეტ მნიშვნელოვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს ახორციელებს, ვიდრე ეს სქემაშია ასახული და კრედიტულებით შეფასებული. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სქემას აკლდა სწორედ ის აქტივობები, რომელიც მასწავლებლებს თავიანთი შესაძლებლობების სრულფასოვნად და მრავალმხრივად წარმოჩენის საშუალებას მისცემდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავარი მიზანია, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული, სქემაში, საბოლოო ჯამში, მოსწავლე მაინც ნაკლებად ფიგურირებდა. რა თქმა უნდა, გარე დაკვირვებებსა თუ საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტივობებში, რომელიც სქემაშია გათვალისწინებული, მოსწავლე ცენტრალური ფიგურაა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და შედეგები სწორედ მისით მიიღწევა, მაინც გადაწყვიტეთ, რომ მოსწავლე უფრო მეტად შემოვიყვანოთ ფოკუსში.

არც შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან მომუშავე მასწავლებლები უნდა დაგვაინყდეს. ინტეგრირებულ კლასებში მათთან მუშაობისას მასწავლებლებს უზარმაზარი ძალისხმევის დახარჯვა უნდა და ამ საქმიანობაში აუცილებლად სჭირდებათ ნახალისება. მათ, ძირითადად, ინდივიდუალური მიდგომებით უნდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობა და ამ შრომას შეფასება სჭირდება. ამ კომპონენტს აუცილებლად შეეცნათ სქემაში და ავსახავთ კრედიტულებში.

გასული სასწავლო წლის განმავლობაში, პრაქტიკოსებს 844 მასწავლებელი შეემატა. საბოლოო ჯამში, ოთხჯერადად გადავანაცვლეთ ან დაავამატეთ მასწავლებლები საფეხურებზე და ყველაზე დიდი მატება, გამოცდების შედეგების მიხედვით, უფროსი მასწავლებლებში გვაქვს. მათ, ვინც პროფესიული უნარები შექონდა ჩაბარებული, საგნის გამოცდის ჩაბარებით სტატუსი გაუმჯობესეს; უფრო მცირე ნაწილია მეორე კატეგორია, ვინც შესაბამისი კვალიფიკაციით შემოვიდა სკოლებში.

– შეიძლება თუ არა, გამოცდის ჩაბარების გარდა, პრაქტიკოსმა მასწავლებელმა სხვა აქტივობებითაც დააგროვოს შემდეგ საფეხურზე გადასასვლელი კრედიტულები?

– ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მინისტრი ინტენსიურად ხვდებოდა მასწავლებლებს და, შესაბამისად, ბატონ ალექსანდრეს გარკვეული შეხედულებები ჩამოყალიბდა. ჩვენ ვმუშაობთ ამაზე და მიმდინარეობს ამ მოსაზრებებისა და შეხედულებების შეჯერება. გარდა ამისა, ჩავატარეთ კვლევა, რომელიც ასახავს, თუ რა ცვლილებები უნდა შევიდეს სქემაში. კვლევისას 180 სკოლაზე მეტში გამოიკითხნენ მასწავლებლები. მოსაზრებები ცვლილებების პროექტებად ჩამოყალიბდება და განიხილება კომისიაზე. შეთანხმების საფუძველზე გადაწყდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა, მაგალითად, დარჩება თუ არა სავალდებულო ფორმატით გამოცდა ან რა კომპონენტები დაემატება სქემას და ა.შ. ყველა კითხვაზე პასუხი მაშინ გვექნება, როცა სქემის ცვლილებები მთავრობასთან წარსადგენად მომზადდება. ამ ეტაპზე კი, შემიძლება მხოლოდ ის გითხარია, რომ საინტერესო მოსაზრებებს განვიხილავთ, საბოლოო ფორმატის პრეზენტაციას კი, როგორც მინისტრმა განაცხადა, ნოემბრის თვეში შემოგთავაზებთ, თუმცა, ვერ გეტყვით, ზუსტ თარიღს.

– საუბარი იყო იმაზეც, რომ სპეცმასწავლებლებისთვის ალტერნატიული სქემა მომზადდებოდა, რა კეთდება ამ მიმართულებით?

– მიმდინარეობს ტრენინგები სპეცმასწავლებლებისთვის, მაგრამ მხოლოდ ტრენინგი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მასწავლებელმა ისწავლოს რა და როგორ აკეთოს. საუბარი იყო, რომ მათთვის ალტერნატიული ფორმატით მომზადდეს კრედიტულების მიჩქვება. სამინისტროს დეპარტამენტი კურირებს ამ საკითხს, მზადდება დოკუმენტები, როგორ ჩაერთოთ სპეცმასწავლებლები სქემაში – პრდაპირ თუ ალტერნატიული სქემის მეშვეობით. ალტერნატიული სქემა იმიტომ განიხილება, რომ ყველა აქტივობა, რაც არსებულ სქემაში გვაქვს, შეიძლება არ იყოს მათზე მორგებული და არც შესაბამისობაში მოვიდეს სპეცმასწავლებლის საქმიანობასთან. დოკუმენტი, მეტ-ნაკლებად, განხილვისათვის მომზადებულია, და როგორც გვითხრეს, მასზე იმუშავეს დეპარტამენტმა, ჩვენმა ცენტრმა და ყველამ, ვისაც ამ მასწავლებლებთან აქვს შეხება. უახლოეს მომავალში ეს საკითხიც გადაწყდება. საკმაოდ მწვავე საკითხია და დროულად უნდა მოგვარდეს, რადგან სპეცმასწავლებლები სტატუსებში არ მოიაზრებიან.

– სქემის მიხედვით, პრაქტიკოსი მასწავლებლის მიღების უფლება სკოლებს არ აქვთ. როგორ მოხდა იმ 844 პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში, რომლებიც, ერთი წლის განმავლობაში, შემოემატნენ მასწავლებელთა კორპუსს?

– სქემის მიხედვით, გათვალისწინებულია გარკვეული მოთხოვნები და კვალიფიკაციები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლები, რომელსაც სკოლა აიყვანს. ეს მაგალით საკვალიფიკაციო მოთხოვნები განპირობებულია იმით, რომ მასწავლებლობა რეგულირდება პროფესიით. მაგრამ სკოლების იმ ნაწილში, სადაც კადრების დეფიციტი წარმოიქმნა, არასათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანები შეიყვანეს და ახლა სწორედ ამ მასწავლებლებზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კომისიამ. ჯერ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ – იქნება თუ არა რაიმე პროგრამა შეთავაზებული, რომ სტატუსი მოიპოვონ და პროფესიულად ინტენსიურად განვითარდნენ. ფაქტია, რომ ისინი შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. საბოლოო გადაწყვეტილებას სქემის მუდმივმოქმედი კომისია მიიღებს. ეს არის ის რეალობა, რაც გვაქვს. დღეის მონაცემებით საქართველოს საჯარო სკოლებ-

– რა აქტივობები შეიძლება განდეს სქემაში, რომლებიც მასწავლებლებს კრედიტულებით შეუფასდებათ?

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის არასაკმარისი აქტივობები, რომლებსაც მასწავლებლები ახორციელებენ (ბევრ კარგ სკოლაშია მსგავსი საქმიანობა), კრედიტულებით დაუფასდეთ. ამ მიმართულებით, აუცილებლად იქნება ცვლილებები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სანერო და საკულუბო მუშაობა, რომელსაც მასწავლებელი მთელი წლის განმავლობაში ეწევა. ამ აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად დიდი

– ზოგადად, რა სურათი გამოიკვეთა, როგორ შეაფასებთ, ერთი წლის განმავლობაში, სქემის ფარგლებში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ აქტივობებს?

– სკოლებმა და შეფასების ჯგუფებმა დაასრულეს შეფასებები და ჩვენ გვაქვს მონაცემები ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. 20 ათას მასწავლებელს განსხვავებული აქტივობები შექონდა განხორციელებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტების დასაგროვებლად მასწავლებლები საკმაოდ აქტიურებიან. ეს კი საწინდარია, რომ მომავალში უფრო სწრაფად და იოლად შეძლონ კრედიტების დაგროვება და სტატუსის შეცვლა. სტატუსის შეცვლა მათთვის ხელფასის ზრდის მოტივაციასაც აჩენს, რადგან ეს ბმა ჩადებულია სქემაში და საფეხურებრივი წინსვლა, შესაბამისად, ანაზღაურების ზრდას განაპირობებს.

ესაუბრა ლალი ჭეპლაძე

მოსწავლე მასწავლებელში უნდა ხელავდეს აღაშიანს, როგორც მის მხარესაა

რუპრიკის სტუმარია ლევან ზარდალიძე-ვილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ბაზაზე, ფსიქოლოგიური ცენტრი უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს. რამდენად წარმატებით მუშაობს პროექტი?

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ბაზაზე, ფსიქოლოგიური ცენტრი უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს. რამდენად წარმატებით მუშაობს პროექტი?

– 2013 წლის 10 აპრილიდან ამუშავდა ფსიქოლოგიური ცენტრები, რომლებიც დაკომპლექტებულია კონკურსის შედეგად შერჩეული მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგებით, ბავშვთა ფსიქიატრებით და სოციალური მუშაკებით. ცენტრები მოსწავლეებს (6-დან 18 წლამდე) და მათი ოჯახის წევრებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში – პედაგოგებსა და მანდატურებს უფასო, კვალიფიციურ ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობენ. მომსახურება რამდენიმე მიმართულებით მუშაობს მოიცავს. მულტიდისციპლინარული ჯგუფი ეხმარება ბავშვებს, მოზარდებს და მათი ოჯახის წევრებს ცენტრში და ემოციური პრობლემის იდენტიფიცირებასა და მართვაში, კერძოდ: იმპულსური ქცევის მართვა და საკუთარი თავის კონტროლის უნარის გამომუშავება; აგრესიული ქცევის შემცირება და მართვა; ემოციების რეგულაცია; თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარება; კომუნიკაციის და კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავება; მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება; ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირება.

ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას მანდატურებთან, სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან. მომსახურება გულისხმობს: ინდივიდუალურ კონსულტირებას; ინდივიდუალურ თერაპიას; ჯგუფურ თერაპიას; თემატური ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას და ჩატარებას.

ამ ეტაპზე, მანდატურის სამსახურის ბაზაზე, ფუნქციონირებს 7 ფსიქოლოგიური ცენტრი, რომლებიც აქტიურ მუშაობას ეწევიან: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, ფოთში, რუსთავეში, გორში. სამომავლოდ ცენტრის გახსნას ვაპირებთ ზუგდიდსა და ახალციხეში.

– როგორ ხედვით ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები ფსიქოლოგიურ ცენტრში და რამდენად დიდია მომართვიანობა?

– ცენტრში მოსწავლეთა გადამომისამართება სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურისა და მასწავლებლის მიერ, მშობლის თანხმობით შევსებული რეფერალის საფუძველზე, ხდება, თუმცა, ცენტრებში მომართვიანობა თვითინიციურად შეიძლება განხორციელდეს.

იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არიან (ასეთი სულ 400 სკოლაა), რა თქმა უნდა, ისინი გვეხმარებიან ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების/ბავშვების გამოვლენაში. მანდატურები სკოლის თანამშრომლებს არიან, ყოველწლიურად და ხანდახან წვლიანდში ორჯერ, ძალიან ბევრ ტრენინგს გადიან, რომლებიც მიმართულია პრობლემების იდენტიფიცირების საკითხებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მანდატურმა უნდა შეამჩნიოს ბავშვის ქცევაში ცვლილება და შეატყობინოს კლასის დამრიგებელს ან სკოლის ადმინისტრაციას. ამის შემდეგ საქმის კურსში უნდა ჩააყენონ მშობელი და, თუ გადაწყვეტენ, რომ ბავშვი საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას, მშობლის ნებართვის საფუძველზე (ბავშვის ნებართვაზე საუბარი აღარ არის, ეს აუცილებელი პირობაა, ბავშვს თავად უნდა უნდოდეს ცენტრში მოხვედრა), მოხდება ასეთი ბავშვის ჩვენთან, ფსიქოლოგიურ ცენტრში გადამომისამართება. მეორე გზა – თავად ბავშვი მიმართავს დახმარებისთვის პედაგოგს, მანდატურს ან მშობელს. ამბობს, რომ რაღაც ანუხებს და ითხოვს დახმარებას (ამ შემთხვევაში, საუბარია უფროსკლასელებზე). არსებობს მესამე გზა, როდესაც მშობელი თავად იღებს გადაწყვეტილებას და ბავშვი მოჰყავს ჩვენთან. ბავშვები მოდიან ასევე სოციალური სააგენტოდან და სხვადასხვა ფსიქოლოგიური ცენტრებიდან.

რაც შეეხება მომართვიანობას, საკმაოდ დიდია. ცენტრის დაარსების პირველ წელს, დაახლოებით, 300 ბავშვი გვყავდა, დღეისათვის, ცენტრის მომსახურებით 1400-ზე მეტი ბავშვი სარგებლობს. ეს რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

– როგორ უნდა ამოვიცნოთ ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე, ე.წ. „რთული ბავშვი“?

– ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე ჯგუფს მიეკუთვნება ბავშვი, რომელიც გამუდმებით ცდილობს გაკვეთილის ჩამოშლას, ვერ ისვენებს ერთ ადგილას, გაკვეთილზე დადის, ხელს უშლის მასწავლებლებს, თანაკლასელებს. ასევე, ბავშვი, რომელიც მოწყვნილია, დეპრესიულია, გუნება-განწყობა დაქვეითებული აქვს, ხშირად ეტირება... ყველა ასეთი ქცევა, რაც შეიძლება ბავშვებს ამ ასაკში ჰქონდეთ, პრობლემაზე მიგვიჩიოთ. მოგვსენებთ, ბავშვებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ, ისევე როგორც უფროსებს. ცენტრში ყველა სახის პრობლემით შეიძლება მოხვედეს ბავშვი. არ ვიქნები მართალი, თუ გეტყვით, რომ ჩვენთან მხოლოდ ის ბავშვები მოდიან, რომლებსაც ქვეყნით პრობლემები აქვთ. მოდიან ისინიც, ვისაც ემოციური პრობლემები აქვთ ან რაიმე სახით თვითდაზიანების (მცდელობა ჰქონდეთ; ბავშვები, რომლებსაც დეპრესიული ფონი აქვთ. ბავშვები ძალიან ბევრ რამეს განიცდიან – ოჯახურ პრობ-



ლემებს, მშობლების დაშორებას. გვექონია ისეთი შემთხვევებიც, როცა დახმარებისთვის ბავშვს თავად მოუშარტავს. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მშობელს ვუკავშირდებით და ვაყენებთ საქმის კურსში (მშობლის გარეშე არასრულწლოვნის მიღების უფლება ფსიქოლოგიურ ცენტრს არ აქვს).

– ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების გარდა ცენტრი დახმარებას უწევს მშობლებს და პედაგოგებს?

– მათი სურვილიდან გამომდინარე, ცენტრი მომსახურებას უწევს მშობლებსა და პედაგოგებს. არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები მოგვმართავენ თხოვნით, ჩაუტარდეთ ტრენინგი, მაგალითად, აინტერესებთ, როგორ იურთიერთონ „რთულ ბავშვებთან“. ასეთ შემთხვევაში მათთვის ვამზადებთ პროგრამას და ვუტარებთ ტრენინგებს. მშობლებისთვისაც გვაქვს ჯგუფები, რადგან ბავშვის პრობლემები, ძალიან ხშირად, ოჯახიდან მოდის. თუ მშობელი თანახმაა, ფსიქოლოგიურ მომსახურებას მასაც ვუწვევთ, ეს ნებაყოფლობითია.

– არიან ბავშვები, რომლებსაც მხოლოდ ერთ პედაგოგთან, ერთ გაკვეთილზე აქვთ პრობლემა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბავშვს ქვეყნით დარღვევა აქვს?

– კომუნიკაციაში ორივე მხარეზე მოდის დატვირთვა. ქვეყნით დარღვევა გულისხმობს, რომ ბავშვს გარკვეული პრობლემები აქვს. როგორც გითხარით, როცა ბავშვი ჰიპერაქტიურია, ყურადღება აქვს გაფანტული, ვერ ისვენებს ერთ ადგილზე, დგება, გადის გაკვეთილიდან და ამას აკეთებს ყველა გაკვეთილზე (არა მარტო ერთ გაკვეთილზე), ეს ქვეყნით დარღვევაზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა მოსწავლეს მხოლოდ ერთ პედაგოგთან აქვს პრობლემა ან პირიქით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი საჭიროებს ჩვენს დახმარებას და ფსიქოლოგიურ ცენტრში გადამომისამართებას.

– ზოგიერთ სკოლაში ქვეყნით დარღვევის მქონე მოსწავლე, სკოლიდან გაშვებული/გარეცხვით ისევეა, რამდენად გამართლებულია ასეთი ქმედება და არის თუ არა ეს გამოსავალი?

– ქვეყნით და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, რა თქმა უნდა, გამართლებულია. ბავშვის სხვა სკოლაში გაშვება არ არის პრობლემის გადაწყვეტა. პირადად მე, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დასჯითი მეთოდების გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგ ვარ. საჭიროა მასწავლებელმა, დირექტორმა, ჩვენ, ყველამ ერთად ვიპოვოთ გზა, რათა ასეთი ბავშვი შევადგოთ სკოლის გარემოს და დაბატონებაში დავუხმაროთ.

– რამდენად არიან ინფორმირებულები პედაგოგები ცენტრის მუშაობის შესახებ?

– ვანწყობთ შეხვედრებს დირექტორებთან და ვაცნობთ ჩვენი ცენტრის საქმიანობას. ის, რომ პედაგოგები ჩვენი ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულები არ არიან, სიმართლეს არ შეესაბამება. ცენტრის მუშაობის შესახებ ყველა დირექტორმა იცის და ისინი ვალდებული არიან, ინფორმაცია მიაწოდონ თანამშრომლებს.

– გასულ წლებთან შედარებით, რამდენადაა გაზრდილი მოზარდებში დეპრესიული ფონი, რა ახასიათებს დეპრესიას და როგორ უნდა მიხედვს მშობელი/მასწავლებელი, რომ მოზარდი დეპრესიულია?

– ვერ გეტყვით, დეპრესიული ფონი, გასულ წლებთან შედარებით, იზრდება თუ არა, რადგან ამას ძალიან სერიოზული კვლევა სჭირდება. ჩვენ შევქმენით უნიკალური სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვანარმოთ სრული სტატისტიკა. ეს გახლავთ ელექტრონული სისტემა, რომელიც რაოდენობრივად აღრიცხავს ყველა შემთხვევას, იქნება ეს სივარტის მონევა თუ სხვა პრობლემა. სულ ერთი წელია, რაც ეს სისტემა ამუშავდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ უკვე საკმაოდ ზუსტი სტატისტიკა გვაქვს, მაგრამ, რადგან ნინა წლებში მსგავსი სტატისტიკა არ არსებობდა, ძალიან მიჭირს რაიმეს შევადარო. ამიტომ ვერ გეტყვით, გასულ წლებთან შედარებით, ფონი გაზრდილია თუ არა. ზოგადად, ფონი ნამდვილად მიძიმეა. რა თქმა უნდა, არის საკმაოდ საგანგაშო შემთხვევები. ამაზე ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ, ფაქტობრივად დასრულებულია „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობის და პრევენციის პროგრამა“, რომელსაც ერთობლივად განახორციელებს

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. ამაში შედის ყველა პირველი და მეორე საფეხურის, ჯერ დამრიგებლების და შემდეგ ყველა პედაგოგის დატრენინგება. ეს გახლავთ კურსი ზოგადად ბავშვის განვითარების ეტაპებზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ინტერაქტიული კურსი კონკრეტულად იმ ნიშნების, რასაც პედაგოგმა უნდა მიაქციოს ყურადღება, ასევე, რა შემთხვევაშია ქცევა საგანგაშო, ვის მიმართონ, როგორ მიმართონ და ა.შ. ეს ძალიან სერიოზული, 30-36-საათიანი კურსია, გაცივმა სერტიფიკატი. გარდა ამისა, გვინდა დავიწყოთ ფსიქოგანათლებითი მუშაობა ჰიპერაქტიურ ბავშვებთან, იმიტომ რომ, ძალიან ხშირად ასეთი ბავშვი საკუთარი პრობლემის იდენტიფიკაციასაც ვერ ახდენს. ხვდება, რომ ძალიან ცუდად არის, მაგრამ არ იცის, ვის მიმართოს, რა სჭირს. სხვადასხვა მიზეზთა გამო, მშობელი ძნელად მოვა სკოლაში ტრენინგზე დასასწრებად, ამიტომ გვინდა, ტელევიზიით ან რადიოთი, მშობლებს გადაცემების ციკლი შევთავაზოთ, სადაც მიენოდებათ ინფორმაცია როგორ მოეპყრონ ბავშვებს. სამწუხაროდ, ბევრმა მშობელმა არ იცის ბავშვის სწორად აღზრდა, განა არ უნდა, უბრალოდ, არ იცის და სამწუხაროდ, სწორედ ამიტომ უშვებს შეცდომებს. პროგრამა მზადაა და სულ მალე საბილეთე რეჟიმში დაიწყება.

ფსიქოლოგისადმი მშობლის დამოკიდებულება, გასულ წლებთან შედარებით, საგრძობლად შეცვლილია. დეპრესია ჯანსაღი ადამიანის ერთ-ერთი დავადებაა, რომელსაც სჭირდება მკურნალობა, თერაპია და ძალიან ხშირად – მედიკამენტოზური მკურნალობა. ადამიანები ნელ-ნელა ხვდებიან ამას და ფსიქიატრის აღარ ეშინიათ, მით უმეტეს – ფსიქოლოგის. საბედნიეროდ, მიხვდნენ ფსიქიატრსა და ფსიქოლოგს შორის განსხვავებას.

– თუ არის შემთხვევები, როცა ფსიქოლოგიური ცენტრი ვერ აგვარებს პრობლემას, სად ამისამართებთ ასეთ ბავშვებს?

– რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა გვინვეს მოსწავლის სხვაგან გადამისამართება, სამწუხაროდ, მასთან ვერ ვმუშაობთ. მაგალითად, როცა ბავშვს აქვს სპეციალური საჭიროება, რომელსაც სჭირდება სათანადო შეფასება, და სპეციალგოგი სკოლაში, რომელიც მასთან იმუშავებს. მეორე ფაქტორია ის, როცა ბავშვს სჭირდება ფსიქიატრის მეთვალყურეობა. ცენტრში, რა თქმა უნდა, გვყავს ფსიქიატრი, მაგრამ მხოლოდ დიაგნოსტიკისთვის. ის მკურნალობას არ ნიშნავს, რადგან ჩვენ არ ვართ სამედიცინო დაწესებულება. თუ შევამჩნიეთ, რომ ბავშვს ფსიქიატრის მეთვალყურეობა სჭირდება, ვამისამართებთ სტაციონარში, სადაც ბავშვთა ფსიქიატრები და ფსიქოლოგები არიან. როდესაც ბავშვს ნევროლოგიური ან ნეიროფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და ვხვდებით, რომ ვერ ვეხმარებით, ეს ჩვენს კომპეტენციას სცდება, რა თქმა უნდა, შესაბამის ცენტრებში ვაგზავნივთ. ხდება პირიქითაც, როდესაც სხვა ცენტრებიდან ბავშვებს ჩვენთან ამისამართებენ.

– რა ფაქტორები განაპირობებს ბავშვის რთულ ქცევას, რით შეიძლება იყოს გამოწვეული მოზარდებში ქვეყნით და ემოციური პრობლემები?

– ბავშვის რთული ქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორებით. არ არსებობს რთული ქცევის გამომწვევი ერთი კონკრეტული ფაქტორი, ამას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ბავშვის რთულ ქცევას, ძალიან ხშირად, ოჯახური ფაქტორი განაპირობებს. რთული ქცევა, უმეტესწილად, ვლინდება პირველივე წლებში, სასკოლო ასაკის დასაწყისიდანვე. ამას არ განსაზღვრავს ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. შეიძლება ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ იქ სხვა პრობლემები არსებობდეს, მაგალითად, მშობლების ხშირი კონფლიქტი, დაშორება და ა.შ. ქვეყნის პრობლემები, უმეტესწილად, ოჯახიდან მოდის. გასაგებია, რომ არც ერთ მშობელს არ სურს, ბავშვს პრობლემები გაუჩინოს, მაგრამ ეს ყველაფერი თავისთავად, მათდაუნებურად ხდება. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემო (გარდა ოჯახისა), რომელშიც ბავშვი იზრდება, სადაც ხშირად უწევს ყოფნა, თამაში, რას უყურებს. შესაძლებელია, ეს იყოს სკოლა, რომელიც ბავშვისთვის ასევე ძალიან სერიოზული გარემოა. სკოლაში, ჩანასახის სახით არსე-

სტუმარი

ბული პრობლემები, შეიძლება, მთლიანად ჩამოშორდეს ბავშვს ან პირიქით, ეს პრობლემები გაღვივდეს და გაძლიერდეს.

ასევე ბევრი ფაქტორითაა განპირობებული ბავშვების დამოკიდებულება კომპიუტერზე, სოციალურ ქსელებზე. ძალიან ხშირად ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ბავშვს არ აქვს მიუთვინებულობის განცდა, აკლია ყურადღება. იმიტომ კი არა, რომ მშობლები ცივები არიან, არამედ იმიტომ, რომ, დაუშვავთ, მუშაობენ და არ აქვთ თავისუფალი დრო, ვერ აგრძობენ იმ სითბოსა და ყურადღებას, რაც ბავშვს სჭირდება. უამრავი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, ასევე არ არსებობს დესტრუქციული ქცევის გამომწვევი ერთი ფაქტორი, ძალიან ბევრია და ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება – უნდა დაეადგინოთ როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორები.

რამდენად მორგებულია უცხოეთის გამოცდილება ქართულ რეალობას?

ზოგადად, უცხოეთიდან პირდაპირ რაიმე მეთოდის თუ ფორმის გადმოღების წინააღმდეგი ვარ. 20 წელი ვცხოვრობდი ევროპაში, ჩემი პროფესიით ვიყავი დაკავებული და შესაბამისად, ძალიან ბევრ რამესთან მქონდა შეხება. მინდა გითხრა, რომ ბევრ ევროპულ ნამყვან ქვეყანაში, უამრავი პრობლემა ბავშვებთან დაკავშირებით, რომლის მოგვარება არც ისე მარტივია. მოსაზრება, რომ ევროპული მეთოდის პირდაპირ გადმოღებით ჩვენს პრობლემებს გადავწყვეტთ, გამართლებული არ არის. ევროპელები თავადაც ვერ წყვეტენ ძალიან ბევრ პრობლემას. ჩვენი მენტალიტეტი და გერმანული, შვეიცარიელი თუ შვედი ბავშვის მენტალიტეტი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამ მეთოდების, ფორმების თუ თეორიების ადაპტირება ჩვენს რეალობასთან, უნდა გვაგვეთქვას ისე, რომ ჩვენი ბავშვები გაიზარდონ სალსალმათები და ჯანსაღი, ჯანსაღ და სალსალმათ გარემოში. ამას ძალიან სერიოზული მუშაობა სჭირდება. საქართველოში იმის უცვლელად დანერგვა, რამაც ამერიკაში კარგად და წარმატებით იმუშავა, აბსოლუტურად გაუშართლებელია.

როგორ ფიქრობთ, რა ინვესტაცია უნდა გახდეს, რომელიც უნდა დაეხმოს, რა ინვესტაცია უნდა გახდეს, რომელიც უნდა დაეხმოს, რა ინვესტაცია უნდა გახდეს...

რატომ უჭირთ ბავშვებს სასკოლო გარემოსთან შეგუება?

კომუნიკაციის პრობლემა ორივე მხრიდან მოდის. ხშირად, როცა ბავშვი სკოლაში მიდის, სრულიად უცხო გარემოში ხვდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ამზადებს სკოლისთვის ბავშვს მშობელი, რას ეუბნება, რა განწყობას უქმნის, რა მიმართულებას აძლევს. მნიშვნელოვანია ასევე, რამდენად განვითარებულია ბავშვი და არის თუ არა მზად სკოლისთვის. აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ 5 წლის ბავშვის ადგილი სკოლაში არ არის, თუმცა, ხანდახან, 6 წლის ბავშვიც არ არის მზად სკოლისთვის. ეს ძალიან ბევრ ინდივიდუალურ, პიროვნულ თვისებაზე დამოკიდებულია. კომუნიკაციის პროცესი ბავშვს სწორედ პროცესში უნდა გასწავლოთ. დანეგბითი კლასის პედაგოგი უნდა იყოს ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე, უმაღლესი კლასის ოსტატი. მეათეკლასელებს ბავშვს შეიძლება ვერ ასწავლო ქიმია, მაგრამ ის უკვე ჩამოყალიბებულია პიროვნებად და მისი შეცვლა ძალიან ძნელია. პირველკლასელ ან მეორეკლასელ ბავშვს შეიძლება ისეთი ზიანი მიაყენო, რომ მთელი ცხოვრება გაჰყვეს. როცა კლასში 20 ბავშვი გყავს, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირად ვერ მიუღებთ, ყველასთან სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციაა საჭირო.

რამდენად მნიშვნელოვანია სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობა?

სკოლის ფსიქოლოგის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. სასკოლო ფსიქოლოგია ერთ-ერთი მიმდინარეობაა ფსიქოლოგიაში, რომელსაც მაღალ დონეზე მომზადებული სპეციალისტები სჭირდება. ფსიქოლოგს ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ამიტომ კარგი იქნება, სტუდენტებისთვის, რომლებიც სასკოლო ფსიქოლოგიას სწავლობენ, არსებობდეს გაცვლითი პროგრამები უცხოეთში. დღეისათვის, რეალურად, ამ მიმართულებით ნამდვილად განვითარებული კადრების ნაკლებობაა. 2000 სასკოლო ფსიქოლოგის პოვნა, ამ ეტაპზე, ძალიან ძნელია, შესაძლებელია, რამდენიმე სკოლაზე მიმავრებული იყოს ერთი კვალიფიციური ფსიქოლოგი. სკოლაში ფსიქოლოგი უდავოდ საჭიროა, მაგრამ სამუშაო ად-

გილების შექმნამდე სპეციალისტების მომზადება უნდა დაიწყოს. ეს საუკუნე ნამდვილად ფსიქოლოგიის საუკუნეა, რადგან დიდი დატვირთვა მოდის ადამიანის ფსიქიკაზე.


რა რჩევას მისცემთ მასწავლებლებს - როგორ უნდა იყოს მათი მიდგომა ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეების მიმართ?

ბავშვს, რომელსაც გარდამავალი ასაკი დაწყებული აქვს, უნდა მოექცე, როგორც მეგობარს, ტოლს, უნდა გაუგო. დაპირისპირებით, შებრძოლებით, შეტაკებით, დასჯით, მუქარით, რომ გაგრიცხავ და მით უმეტეს შიშის დანერგვით, ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენი ფუნქცია ხომ ბავშვზე ზრუნვაა და არა ის, რომ ჩვენ ვიყოთ კომფორტში და ბავშვი - დისკომფორტში. ბავშვიც კომფორტში უნდა იყოს და პედაგოგიც. ეს ყველაფერი ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა და არავითარ შემთხვევაში - ომითა და ბრძოლით. ამის კარგი გამოცდილება გვაქვს ჩვენ, ომს არავისთვის არასოდეს კომფორტი და სიკეთე არ მოუტანია, სკოლაშიც იგივე ნესები ვრცელდება. ბავშვს უნდა გაუგო, დაეხმარო, ის შენში მოწინააღმდეგე არ უნდა ხედავდეს. პირველ რიგში, უნდა ხედავდეს ავტორიტეტს და ადამიანს, რომელიც მის მხარესაა. ამის შემდეგაც თუ ვერ მართავ, მაშინ უნდა მოგვემართო ჩვენ, რომ ამ ბავშვს დავეხმაროთ.

ზოგადი რჩევა ასეთი იქნება - აუცილებელია ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვს მიუდგე გაგებით, როგორც შენს თანასწორს, როგორც ზრდასრულ ადამიანს, რადგან ბავშვს, რომელსაც ქცევითი ან ემოციური პრობლემები აქვს, თვითონ სტყუვდა ან უნებეს საკუთარი მდგომარეობა. არ არის მართალი, რომ ამ ბავშვს ასეთი ქცევა უხარია. ასე იმიტომ იქცევა, რომ რაღაც უჭირს. ამ ყველაფერს მასწავლებელი ადეკვატურად უნდა მიუდგეს და დაანახოს, რომ მისი მეგობარია, მოკავშირე და მასზე მზრუნველი, უნდა აგრძობინოს სიტბო და სიყვარული. ასეთი დამოკიდებულება ბევრად უფრო დაგვეხმარება ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებთან ურთიერთობის მოგვარებაში.

ესაუბრა მამა ყიფიანი

ინფორმაცია



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განცხადება

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ნესში ცვლილებები შევიდა.

2016 წლის 4 ნოემბრიდან ცვლილებები შევიდა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ნესში.

ცვლილებების მიზანს წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც დადებითად აისახება მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული, ეფექტიანი და ეფექტური სერვისების არსებობაზე.

ცვლილების თანახმად, დაზუსტდა პროცედურები და კიდევ უკეთ დაკონკრეტდა ყველა დოკუმენტაციის აუცილებლობა, რასაც დაეყრდნობა მიღებული გადაწყვეტილებები. აგრეთვე, მკაფიოდ გაიმიჯნა ერთმანეთისგან სხვადასხვა სახის მომსახურებები.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დარეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 200 220

სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლაში სწავლა არ შეწყვეტილა

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს, ხანძრის შედეგად, დაინვა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის დაზიანება ხის შენობა, სადაც განთავსებული იყო სკოლის სამი საკლასო ოთახი, სკოლის ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. დაინვა და განადგურდა ნიგნები და ლაბორატორიაში არსებული ინვენტარი.

იმისათვის, რომ 2 ნოემბერს სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარმართულიყო, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მოიძია ალტერნატიული ფართი, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებმა სკოლას უსასყიდლოდ გამოუყო. აღნიშნულ რეაბილიტირებულ შენობაში სკოლას დაეთმო 4 ოთახი - 3 ოთახში განთავსდა სკოლის დანეგბითი კლასები (სულ 9 მოსწავლე) და ერთ ოთახში მოეწყო სამსწავლებლო შენობაში შეტანილია ყველა საჭირო ინვენტარი (მერხები, დაფები და ა.შ.) და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად როგორც სკოლის ძირითად შენობაში, ასევე გამგეობის მიერ გამოყოფილ ალტერნატიულ ფართში. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის ყველა პრობლემა შექმნილი. სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლაში 80 მოსწავლე სწავლობს. მომხდარი ხანძრის გამო, დროებით, ახალ შენობაში სწავლას დაწყებითი კლასების მხოლოდ 9 მოსწავლე აგრძელებს.

ჩუნჩხის საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა მოინახულა.

ლია გიგაური: „ხანძრის დროს სრულად დაინვა ის სათავ-

სო, რომელიც განთავსებული იყო სამი საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა და სარეზერვო ინვენტარი. თუმცა, ოპერატიულად იმოქმედეს როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, ასევე ადგილობრივმა თვითმმართველობამ და სასწავლო პროცესი ერთი ნუთითაც არ შეწყვეტილა. მეორე დღესვე განახლდა გაბეგობის შენობაში - იქ მოწყობილია კლასები და ყველა პრობლემა შექმნილი იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი უწყვეტად წარიმართოს.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, ჩვენ ვიმსჯელებთ, გავესაუბრებით როგორც სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას. მიუხედავად იმისა, რომ გვერდითი სოფლის სკოლის პროექტი გამზადებულია და მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, ამ ეტაპზე არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ ეს პროექტი უნდა გადაიხედოს და უფრო ფართომასშტაბიანი და შორს მიმავალი გეგმები დაისახოს.“

ემზარ პაპიძე, სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის დირექტორი: „1 ნოემბერს ფინურ ნაგებობას გაუჩნდა ხანძარი, მაგრამ სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა, რადგან ალტერნატიული ფართი იქნა გამოწახული ისევ სოფელში, სკოლის მახლობლად, 200 მეტრში. ეს არის საკრებულოს ყოფილი შენობა, რომელიც კეთილმოწყობილია. იქ განვითარებთ სამი საკლასო ოთახი და სასწავლო პროცესი ჩვეულებისამებრ მიმდინარეობს.“

სწავლა-სწავლების ტექნოლოგიების ინტეგრაციის მხარდასაჭერად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და Microsoft-მა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც საქართველოს სკოლებში სწავლასწავლების პრაქტიკების მხარდასაჭერად, Wi-Fi ტექნოლოგიის დანერგვის კუთხით თანამშრომლობას ეხება.

თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს სკოლებში Wi-Fi ინფრასტრუქტურის დანერგვაში დახმარების განცხადებას. Microsoft, ასევე, მხარს დაუჭერს მასწავლებლებს და სკოლის ლიდერებს საგანმანათლებლო კონტენტით, სასწავლო მასალებითა და ექსპერტიზით, რათა ხელი შეუწყოს ინტერნეტით სარგებლობას და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლა/სწავლების პროცესში.

მემორანდუმის ხელმოწერამდე გაიმართა შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ალექსანდრე ჯეჯელავასთან, რომელიც Microsoft-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გენერალური მენეჯერი მაიკლ კოვალერი, Microsoft Connectivity-ის გლობალური დირექტორი ალექსანდრე ტოლენო ლეიტი და „მაიკროსოფტ საქართველოს“ მენეჯერი ნიკოლოზ დობორჯგინიძე მონაწილეობდნენ.

პროექტის საწყის ფაზაში, 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში, მაიკროსოფტი უფასოდ დანერგავს Wi-Fi ტექნოლოგიას ქვეყნის დიდი და პატარა ქალაქების 32 სკოლაში. განათლების სამინისტროს ხანგრძლივი სტრატეგია მდგომარეობს იმაში,

რომ ინტერნეტით უზრუნველყოს საქართველოს მთელი სასკოლო საზოგადოება. ამ სკოლებიდან მრავალს აქვს წვდომა ინტერნეტთან, თუმცა არ აქვთ Wi-Fi ინფრასტრუქტურა.

ეს პროექტი მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მოუხსნით ცოდნასთან წვდომის ბარიერს. ხელშეკრულება, ასევე, მოიცავს Office 365 ქლაუდ სერვისს, რაც, Wi-Fi-ს ქსელთან ერთად, მოსწავლეებს და მასწავლებლებს თანამშრომლობითი სასწავლო პრაქტიკის დანერგვაში დაეხმარება და იმ უნარების განვითარების შესაძლებლობას მისცემს, რომელსაც 21-ე საუკუნის სამუშაო გარემო მოითხოვს.

მაიკროსოფტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უკვე 7 წელია თანამშრომლობს, ატარებს ტრენინგებს და კონფერენციებს მასწავლებლებისთვის, აწყობს სემინარებს და კონსულტაციებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სტრატეგიებზე. თანამშრომლობა, ასევე, გულისხმობს სხვადასხვა მასშტაბური ინიციატივის, მათ შორის, პირველკლასელთა კომპიუტერის პროგრამის მხარდაჭერას, ქლაუდ სერვისების დანერგვას ადმინისტრაციული და სასწავლო მიზნებისთვის, სასკოლო კომპიუტერების განახლებას უახლესი ოპერაციული სისტემით და საოფისე პროგრამებით, ინოვაციური საგანმანათლებლო მოდულების განვითარების მხარდაჭერას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში Wi-Fi-ს დანერგვაში მაიკროსოფტი გვეხმარება. ამ ეტაპზე, 32 სკოლა მიიღებს სრულ დაფარვას. ამ პროცესს ჩვენი რესურსებითაც ვავაგრძელებთ. საბოლოო მიზანია, აბსოლუტურად ყველა სკოლაში, მინიმუმ, გარკვეულ ტერიტორიაზე ჰქონდეთ Wi-Fi და საუკეთესო შემთხვევაში - მთელ სკოლაში.“

მე-200 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეების სკეიტაქლი „ჰელალოსი“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენლები თბილისის №200 საჯარო სკოლა-პანსიონში გამართულ სპექტაკლს დაესწრნენ, რომელიც ამავე სკოლის დრამის წრის მოსწავლეებმა ნოდარ დუმბაძის „ჰელალოსი“ მიხედვით დადგეს. სპექტაკლი, სკოლის მიერ ორგანიზებულ „ღია კარის დღის“ ფარგლებში, გაიმართა სკოლა-პანსიონის სსსმ მოსწავლეების სწავლებისა და მათთან მუშაობის პრინციპების გაცნობა-გაზიარების მიზნით.

თბილისის №200 საჯარო სკოლა-პანსიონში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 90 მოსწავლე სწავლობს, აქედან 2 იმყოფება შინსწავლებაზე, 98 აღსაზრდელს დაწესებულება პანსიონურ მომსახურებას სთავაზობს, კერძოდ, 60 აღსაზრდელი სადღეღამისო მომსახურებით სარგებლობს, ხოლო 28 აღსაზრდელი - განხვრდლივებული დღის მომსახურებით. სკოლა ორსაფეხურიანია, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სამედიცინო და თერაპიული მომსახურებით, დღეში ხუთჯერადი ჯანსაღი საკვებით. მათი ინტერესების გათვალისწინებით, ჩართულები არიან სხვადასხვა სახის განმავითარებელ და წრებში აქტივობებში.

კითხვა-წერილს სწავლების მეთოდები

საჭირო სწავლა წინასწარი განმარტება

ანალიზი (ბერძ. analysis დაშლა) – საგნის შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით. **სინთეზი** (ბერძ. synthesis შეერთება) – ნაწილების შეერთება, გამოლიანება; საგნის შესწავლა მის მთლიანობაში, მისი ნაწილების ურთიერთკავშირში.

ფონემა – სამეტყველო ბგერა (რომელიც, სხვა ბგერებთან დაპირისპირებით, ერთმანეთისგან განარჩევს ორ მსგავსი ფლერადობის სიტყვას, მაგ., **ზარი/სარი**).

გრაფემა – ასონიშანი, ანუ ფონემის პირობითი ჩანაწერი, აღნიშვნა. მარტივად – ასო.

ფონეტიკა/ფონოლოგია – ენათმეცნიერების დარგები, რომლებიც შეისწავლის ფონემებს, მათ კლასიფიკაციას, მათ წარმოქმნას, ცვლილებებს („ფონეტიკური პროცესები“), სიტყვის ბგერით ფორმას, დამარცვლას, წინადადების ინტონაციას...

გრაფოლოგია, გრაფიკა – სიტყვასიტყვით: ასონიშანთმცოდნეობა, ასოთა მოხაზულობის კანონზომიერებათა შესწავლა... (შდრ. **კალიგრაფია**).

სიტყვის ფონეტიკური ფორმა – სიტყვის ფლერადობა, ანუ ბგერითი შემადგენლობა.

სიტყვის ორთოგრაფიული ხატი – სიტყვის მთლიანი გრაფიკული ფორმა, ანუ დაწერილი სიტყვის მთლიანი მოხაზულობა.

სემანტიკა – სიტყვის, წინადადების ან ტექსტის შინაარსი, მნიშვნელობა, საზრისი... უპირისპირდება ფორმას (ფონეტიკურსა და გრიფიკულსა). მაგ., ჩვენ სრულად აღვიქვამთ **basun** სიტყვის ფონეტიკურ ფორმასა და გრაფიკულსა და ამაში ხელს არ გვიშლის ის, რომ სრულებით არ ვიცით ამ სიტყვის სემანტიკა.

სემანტიკური – ის, რაც დაკავშირებულია შინაარსთან, აზრთან, მნიშვნელობასთან.

განაფიქვანი კითხვა – მოქნილი კითხვა – გულისხმობს სამ მახასიათებელს: 1. სიზუსტე; 2. გაბმულობა; 3. გააზრებულობა (უფრო კონკრეტულად: ნაკითხვის შესაფერისი ინტონაცია, სასვენი ნიშნების პაუზები, აზრობრივი მახვილები...).

ფონოლოგიური უნარი („ფონოლოგიური ცნობიერება“) – ფონემების ზუსტი აღქმა და ფონემებზე სხვადასხვა მოქმედების ჩატარების უნარი (სიტყვის ზეპირად დამარცვლა, პირველი ან ბოლო ბგერის იდენტიფიცირება (ამოცნობა), სიტყვის ბგერებად დაშლა ან პირიქით – ბგერებისგან სიტყვის აწყობა...)

კოდირება – საგნის ნაცვლად მისი პირობითი აღმნიშვნელის ჩანერა.

მაგ., ბგერის ნაცვლად – ასოსი, რიცხვის ნაცვლად – ციფრისა.

დეკოდირება – პირობითი ჩანაწერის ამოცნობა, ნაკითხვა, თითქოს „გაშიფვრა“.

4 ძირითადი ტიპის სავარჯიშო ნიშნები

1. ფონოლოგიური ანალიზი

- რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვები: მზე, დედა, ჭა, თოვლი?
- რამდენი მარცვლისგან შედგება სიტყვა – ქალი? გასაქცივი?
- რომელია ერთი და იგივე ბგერა სიტყვებში – მსხალი და დაუხაზა?
- მასწავლებელი შეცდომით წარმოთქვამს სიტყვას: **გრზელი**. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ბგერის ნაცვლად რომელი ბგერა უნდა ჩავსვათ ამ სიტყვაში.

2. ფონოლოგიური სინთეზი

- ბგერებისგან – **ლ, ა, ი, ქ** – შეადგინეთ რაც შეიძლება მეტი სიტყვა.
- მასწავლებელი დამარცვლით და მარცვლებს შორის დიდი შუალედებით ამბობს სიტყვას **გა-ი-ფურ-ჩქნა**. მოსწავლეებმა უნდა გაამთიანონ და ისე წარმოთქვან.

3. გრაფიკული ანალიზი

- რომელი ასოებისგან შედგება სიტყვები: **მდელო, წინილა...**
- მოძებნეთ მეექვსე ასო სიტყვაში **მასწავლებელი**.
- მასწავლებელი დაფაზე შეცდომით წერს სიტყვას: **მერცხარი**. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ასოს ნაცვლად რომელი ასო უნდა ჩავსვათ ამ სიტყვაში.

4. გრაფიკული სინთეზი

- ასოებისგან **მ, ტ, ე, ა, რ, ი, ზ** შეადგინე რაც შეიძლება მეტი სიტყვა.
- არეულად მოცემული მარცვლები **პუ, ხა, ჭა, რი** დალაგე ისე, რომ მიიღო სიტყვა.
- საანბანო პერიოდში ყოველდღიურად ჩასატარებელი სავარჯიშო: მოძრაი ანბანის ასოებით წინადადების (მაგ., **ლექსის სტრიქონის**) აწყობა, ბოლოში აუცილებლად წერტილის დასმით (ერთი მოსწავლე დიდხანს მუშაობს დაფასთან, ამასობაში სხვები სხვა რამეს აკეთებენ; მერე მოსწავლის მიერ აწყობილი სტრიქონს დააკვირდებიან და შეასწორებენ, ზედა-ქვედა ასოს გასწორების ჩათვლით; მეორე გაკვეთილზე სხვა მოსწავლე აწყობს და ა.შ.).

კითხვა-წერილს სწავლების მეთოდები

სამი ძირითადი სახეობა (ჯგუფი)

აღმავალი (სინთეზური, სინთეზურ-ანალიზური); დაღმავალი (ანალიზური); დაღმავალ-აღმავალი (ანალიზურ-სინთეზური).

სინთეზური: მოსწავლეს თავდაპირველად ასწავლიან 33-ვე ასოს; შემდეგ ყველა ამ ასოს გამოყენებით აწყობენ მარცვლებს (**ბა, ბე, ბუ... გა, გი...**); შემდეგ ამ მარცვლებით აწყობენ სიტყვებს (**გუგა, დედა, წინილა...**); სიტყვებით – წინადადებებს, ტექსტს (ამგვარი მეთოდის ერთი ნიმუში გადმოცემულია სულხან-საბას ლექსიკონის დანართში; მართლაც, XIX საუკუნემდე ასე ასწავლიდნენ).

33 ასო → მარცვლები → სიტყვები → წინადადება → ტექსტი.

ასეთი მეთოდები მოსწავლისთვის აუტანელია, რადგან თვეების განმავლობაში მხოლოდ ასოებს, უაზრო მარცვლებს და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ატრიალებინებენ (ამიტომაც ნაკლებიანი შედეგები მიიღწევა სწავლებლისგან). ამიტომ ბუნებრივია, რომ **XX** საუკუნეში დაიწყო სინთეზური მეთოდების თითქმის აღარსად არ გამოყენება. მათ ნაცვლად გამოიყენება სინთეზურ-ანალიზური სახის მეთოდები. ამჟამად „აღმავალი“ ეწოდება სინთეზურ-ანალიზური სახის მეთოდებს. „აღმავალი“ კი იმით უნდა აღიქვას, რომ უმცირესი და უმარტივესი სამეტყველო ერთეულიდან (ასო) თანდათან მივდივართ უდიდეს და ურთულეს სამეტყველო ერთეულამდე (წინადადება, ტექსტი).

სინთეზურ-ანალიზური ანუ **აღმავალი**: ეს ყველაზე ცნობილი მეთოდებია – მის მიხედვითაა აგებული პირველი კლასის სახელმძღვანელოები საქართველოში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), მასწავლებლებიც ძირითადად ამგვარ მეთოდებს იყენებენ.

წამყვანი აქაც სინთეზია, ოღონდ რამდენიმე საფეხურზე ანალიზიცაა ჩართული. მასწავლებელს შემოაქვს ახალი ასო სათანადო სურათით (მაგ., ასო **ბ** და **ბლის** სურათი). ამ ასოთი და ადრე ნასწავლი ასოებით აწყობენ ისეთ მარცვლებს, რომლებითაც შედგება ახალი საყრდენი სიტყვა (**ბა-ლი**), შემდეგ კი ამ სიტყვას კვლავ ასოებად შლიან (ეს ანალიზია). კითხულობენ ამ სიტყვას და სხვა სიტყვებს, წინადადებებს.

(სურათი) ასო → მარცვალი → სიტყვა → ასოები → სიტყვები → წინადადება → ტექსტი.

აღმავალი მეთოდების ღირსება ისაა, რომ მტკიცეა ბგერასა და ასოს შორის შესაბამისობის ცოდნა – ანუ ამ მეთოდით სწავლების შემთხვევაში მოსწავლეები ადვილად ცნობენ და ამოიკითხავენ ასოებს. შედარებით მალე აღწევენ განაფიქვანი კითხვის პირველ მახასიათებელს – სიზუსტეს. სამაგიეროდ, ნაკლია ის, რომ მოსწავლეებს უჭირთ ასოებისა და მარცვლების გამოლიანება სიტყვებად, სიტყვებისა – წინადადებად (რადგან ცალკეული ასოების აღქმაზე აქვთ თავმოყრილი მთელი ყურადღება). ამიტომ ძალიან გვიან და არასრულყოფილად აღწევენ განაფიქვანი კითხვის მეორე და მესამე მახასიათებელს – გაბმულობასა და გააზრებულობას.

ანალიზურ-სინთეზური ანუ **დაღმავალ-აღმავალი**: კითხვის სწავლება იწყება არა ასოების,

არამედ მთლიანი სიტყვების სწავლებით. მოსწავლე ასო-ასო კი არ აწყობს და ამოლიანებს სიტყვას, არამედ იმასსოვრებს მთლიანი სიტყვის ხატს (ორთოგრაფიულ ხატს). შემდეგ სიტყვას შლის ასოებად (აკეთებს ანალიზს) და ასე ეცნობა, სწავლობს თითოეულ ასოს. შეიჩვევა ხშირადგამოყენებადი, ნაცნობი, მოკლე (ძირითადად ერთმარცვლიანი ან ორმარცვლიანი) სიტყვები, თანაც ისეთები, რომელთა გათვალსაზრისებაც, სურათით გამოხატვა შეიძლება. ეს სიტყვები მოსწავლეს მიენოვება შესაბამის სურათებთან ერთად. მოსწავლე „კითხულობს“ (სურათით ცნობს) ამ სიტყვებს და იმასსოვრებს მათ მთლიან ხატს (ორთოგრაფიულ ხატს). სიტყვის ხატის დამახსოვრების შემდეგ ხდება ამ სიტყვის დაშლა შემადგენელ მარცვლებად და შემდეგ – ასოებად. შემდეგ ეს ასოები ისევ სიტყვად მთლიანდება (სინთეზი!), მაგ.:

ბალი → ბა-ლი → ბ-ა-ლი → ბალი.

მერე კითხულობენ სხვა სიტყვებსა და წინადადებებს.

(სურათი) სიტყვა → მარცვალი → ასო → სიტყვა → წინადადება → ტექსტი

მთავარი განმასხვავებელი აღმავალი მეთოდებისგან: მასწავლებელს შემოაქვს არა ახალი ასო, არამედ მთლიანი სიტყვა, მოსწავლეები (ანალიზით ანუ დაშლით) თვითონ აღმოაჩენენ ახალ ასოს. თანაც ეს ასო ცალკე კი არ მიენოვებათ, არამედ – მთლიან სიტყვაში.

დაღმავალ-აღმავალი მეთოდით სწავლებისას მოსწავლეებს გაცილებით ნაკლებად ექმნებათ ის სიძნელე, რომელიც თავს იჩენს ხოლმე აღმავალი მეთოდით სწავლებისას – ამოკითხული ასოების გამოლიანების სიძნელე. მოსწავლე ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ კი არ აწყობს სიტყვებს, არამედ თავიდანვე მის მთლიან ხატს იმასსოვრებს. ამიტომ გამოლიანება ნაკლებად სჭირდებათ. მოსწავლეები უკეთ აღწევენ განაფიქვანი კითხვის მეორე და მესამე მახასიათებელს – გაბმულობასა და გააზრებულობას. მაგრამ ამ მეთოდებს სხვა ნაკლი აქვს – გვიან აღწევენ განაფიქვანი კითხვის პირველ მახასიათებელს – სიზუსტეს, სიტყვებს კითხულობენ შეცდომებით, ერევთ ასოთი შემადგენლობით მსგავს სიტყვებში (**კარი/კანი**). თუმცა ეს ნაკლი უფრო ადვილი დასაძლევია, ვიდრე გამოლიანების სიძნელე.

საზოგადოდ, შეცდომებისა არ უნდა გვემინოდეს, შეცდომებით ვსწავლობთ, უნარ-ჩვევა თანდათან დაიხვეწება. ეს ეხება არა მარტო კითხვა-წერის სწავლებას, არამედ ყველა დარგს და ყველა საკითხს. კლასში ფსიქოლოგიური გარემო არააჯანსაღია, თუკი მოსწავლეები დაძაბულად პასუხობენ იმის გამო, რომ შეცდომისა ემინათ. ამის საპირისპიროდ, როცა ბავშვი ასო-ასო კითხულობს, მას ძალიან უჭირს გაბმულ ნაკითხვაზე გადასვლა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ (1876 წლის და მომდევნო გამოცემები) სწორედ ანალიზურ-სინთეზურ მეთოდზეა აგებული. სამწუხაროდ, უცოდინრობის გამო, სახელმძღვანელოთა ავტორები და მასწავლებლები ამ კარგ მეთოდს ცვლიან სინთეზურ-ანალიზური მეთოდით, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ცუდ მეთოდად მიაჩნდა.

ანალიზური – იგივე **დაღმავალი**, ანუ **მთლიანობრივი** ანუ **ჰოლისტური**: „ჰოლისტური“ – ინგლისურად იგივეა, რაც „მთლიანობითი“ (რადგან ასოები მხოლოდ მთელ-მთელ სიტყვებში ისწავლება); „მთლიანობრივი“ კი ეწოდება იმისთვის, რომ პირველადი მთლიანი ტექსტი, ანუ „ენობრივი სამყარო“.

წმინდა ანალიზური მეთოდებით კითხვის სწავლება იწყება არა ასოებით, არც მთლიანი სიტყვებით, არამედ ტექსტით. მოსწავლე თავდაპირველად ეცნობა ნაბეჭდი ტექსტის სტრუქტურას (ე. ი. პარალელურად იწყება გრამატიკის ხაზიც). მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ძალიან თვალსაზრის-კონკრეტულ დონეზე. კედელზე კიდია დიდ ფორმატზე დაბეჭდილი ტექსტები, ან, კიდევ უკეთესი, თუკი კლასში ძალიან დიდი ფორმატის ნიგებია. მოსწავლეები ყოველგვარი თეორიული განმარტების გარეშე, მხოლოდ საჩვენებელი ჯოხით ჩვენების დონეზე, ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობენ, თუ რომელია: ტექსტი, სათაური, აბზაცი, სტრიქონი, სიტყვა, ბოლოს – წინადადება (საშუალოდ ორ თვეში); ხოლო საანბანო თვეებში – ასო.

მოსწავლეებისათვის მთლიანი ტექსტი თავდაპირველად გაუგებარი იეროგლიფების გაუნანერებელი გროვია. იწყება ამ ბუნდოვანი და მოუწესრიგებელი მთლიანობის მოწესრიგება და განანერება: ჯერ – აბზაცებად, შემდეგ – სტრიქონებად, შემდეგ – სიტყვებად (რომლებსაც მოსწავლეები ჯერ ვერ კითხულობენ). მოსწავლეები თანდათანობით გამოანანერებენ ჯერ ცალკეულ უადვილეს მოკლე სიტყვებს, რომლებსაც იცნობენ. თან ირკვევა, მერამდენე აბზაცშია ეს სიტყვა, მერამდენე სტრიქონში.

დიდ ტექსტებში თანდათან სულ უფრო მეტი რამაა გამოკვეთილი და გასაგები, მანამ, სანამ მოსწავლე მთლიანად წაიკითხავდეს (საშუალოდ, მეხუთე-მეექვსე თვეებში). ეს ყოველივე მყარ საფუძველს უყრის იმასაც, რომ თავიდანვე დაიძლიოს ტექსტოფობია (დიდი ტექსტების შიში), რომელიც ზრდასრულებშიც ძალიან ხშირია.

ამრიგად, ანალიზური მეთოდის მიმართულებით:

გაუნანერებელი-მოუწესრიგებელი მთლიანობიდან → სულ უფრო და უფრო განანერებული, მოწესრიგებული და გამოკვეთილი ნაწილებისგან შემდგარი მთლიანობისკენ.

ეს ზედმიწევნით შეესაბამება ცნობიერების განვითარების ძირითად ფსიქოლოგიურ მიმართულებას:

დიფუზურ-სინკრეტული მთლიანობიდან →

დიფერენცირებული ნაწილებისგან შემდგარი გემტალტიკაკენ.

მასწავლებელი ხელს გააყოლებს სტრიქონს და ისე კითხულობს. მოსწავლეები იმეორებენ მასწავლებლის ნაკითხულს. ნელ-ნელა მოსწავლეებს ტექსტის შინაარსი იმასსოვრებათ; აგრეთვე, მასწავლებლის შეკითხვების მეშვეობით, იაზრებენ ამ შინაარსს – იწყება ტექსტის გააზრების ხაზიც.

შემდეგ ისწავლება მთელ-მთელი მოკლე სიტყვების ცნობა (ამ სიტყვების ორთოგრაფიული ხატებისა – მხედველობითი მეხსიერებით), ოღონდ ცალკეული ასოების გამოყოფილად.

მთელ-მთელ სიტყვათა მეთოდი იწყებს მოკლე, ერთმარცვლიანი (ორ-სამბგერიანი) სიტყვებით. ამგვარი სიტყვები მარცვლებითაა, ამოსაკითხად ადვილებია, მაგრამ მაინც მთლიანი აზრის სიტყვებია. მაგალითად: ია, ცა, კუ, ჭა, რუ, თხა, რძე, სკა... ოღონდ სიტყვა უნდა ექვემდებარებოდეს სურათით გათვალსაზრისებაც, რათა სიტყვა მინერული ჰქონდეს სათანადო ნახატს. (მაგალითად, სიტყვები ძია, სიო და მისთანანი არ გამოადგება). მოსწავლეები უყურებენ სურათს, „კითხულობენ“ ქვეშ მინერულ სიტყვას და თავისთავად იმასსოვრებენ სიტყვის ორთოგრაფიული ხატი. შემდეგ მათ ეს სიტყვები სურათის გარეშე უნდა „წაიკითხონ“ (იცნონ), ასევე უნდა ამოიცნონ კონკრეტულ ტექსტში.

საანბანო პერიოდში მასწავლებელს ასო პირველად შემოაქვს არა ცალკე, არამედ მთლიან სიტყვაში, მოსწავლეები (ანალიზით, ანუ დაშლით) თვითონ აღმოაჩენენ ახალ ასოს.

(სურათი) ტექსტი → სტრიქონი ანდა წინადადება → (სურათი) სიტყვა → (მარცვალი) → ასო. (მარცვალი ფრჩხილებშია, რადგან შეიძლება სულ არ იყოს)

ისევე როგორც დაღმავალ-აღმავალი მეთოდით სწავლებისას, დაღმავალი მეთოდით სწავლების დროსაც მოსწავლეებს ნაკლებად ექმნებათ ამოკითხული ასოების სიტყვებად გამოლიანების სიძნელე, რადგან მოსწავლე თავიდანვე სიტყვის მთლიან ხატს იმასსოვრებს და თავიდანვე მიაჩვევს მთელ-მთელი სიტყვების ამოკითხვას. თანაც ამ მეთოდით სწავლებისას მოსწავლეები უფრო ადვილად აღწევენ გაბმულობასა და გააზრებულობას. ამის გარდა ანალიზური მეთოდით სწავლება ხელს უწყობს მხედველობითი აღქმისა და მეხსიერების განვითარებას; სიტყვის მნიშვნელობის „აღმოჩენას“ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე; კითხვის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, კითხვის მოტივაციის ამაღლებას.

თუმცა ამ მეთოდსაც აქვს ნაკლი – შედარებით გვიან მიიღწევა ამოკითხვის სიზუსტე; ნაკლია ისიც, რომ მოსწავლეს უჭირს ხოლმე იმ სიტყვების ამოკითხვა, რომელთა ორთოგრაფიული ხატი ჯერ არ შეხვედრია.

იაკობ გოგებაშვილის პირველი სახელმძღვანელო (1865 წლის გამოცემა) სწორედ ანალიზურ მეთოდზე იყო აგებული. მაგრამ 1876 წლიდან იაკობმა ანალიზური მეთოდი ანალიზურ-სინთეზურით შეცვალა. რატომ? შეცვალა იძულებით. თვითონ წერს, რომ მოუშნადებელი მასწავლებ-

კვადროტი დასასმარებლად

ლის ხელში ანალიზური მეთოდი ვერ ამართლებს (მაშინ კი მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარების არავითარი საშუალება არ არსებობდა, მით უმეტეს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა არაპროფესიონალი იყო, ძირითადად მხოლოდ წერა-კითხვა და ანგარიში იცოდნენ). ანალიზური მეთოდები საუკეთესოა მოსწავლისთვის, ყველაზე სახალისოა, რადგან კითხვა სანახევროდ თამაშ-თამაშით ისწავლება, მოსწავლეებს ყველაზე მეტად შეაყვარებს წიგნს, მაგრამ - რთულია მასწავლებლისთვის. ამის გარდა, ანალიზური მეთოდი ძვირადღირებულია, რადგან აუცილებლად სჭირდება დიდხალი თვალსაჩინოება, მათ შორის - დიდი ფორმატის ფურცლებზე მსხვილად დაბეჭდილი ტექსტები ან ძალიან დიდი ფორმატის წიგნები. ამიტომ გახდა იძულებული იაკობი, რომ პრაქტიკულად უფრო გამართლებული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი აერჩია. იაკობს სიცოცხლის ბოლომდე მიანდა, რომ სინთეზურ-ანალიზური მეთოდი (კუდი (წმინდად სინთეზური XIX საუკუნის ბოლოს მეცნიერებს უკვე აღარც აინტერესებდათ); ანალიზურ-სინთეზური - კარგი, ხოლო საუკეთესო კი ანალიზური მეთოდი.

XX საუკუნის მეცნიერებამ (განსაკუთრებით - გემპლტფისიოლოგიამ) სრულად დაადასტურა და კიდევ უფრო გააღრმავა იაკობ გოგებაშვილის ეს შეხედულება.

„ყმანვილი ... ნახალისდება. ერთი სიტყვა აღძრავს მასში მთელ რიგ სხვა სიტყვებს, სხვა საგნების მოგონებებს (დანიელ პენაკმა ამ საოცრებას „აქტივია“ უწოდა!) და მოსწავლე იგრძნობს მამინვე კავშირს ბუნებას, ცხოველებსა და სხვადასხვა შორის... რასაკვირველია, ყმანვილი კითხვას უფრო გონივრულად და უფრო ჩქარა სწავლობს... სიტყვების კითხვის დროს მასწავლებელმა სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მასზე, რომ ბავშვები სიტყვების პაზრს, მნიშვნელობას, შინაარსს გონებას ადევნებდნენ, რომ სიტყვები მათ გონებაში აღვიძებდეს საგნების სახეს, რომ იგინი არ მიეჩვივნონ უაზრო მეხანიკურ კითხვას...“ [იაკობ გოგებაშვილი].

კითხვა-წერის სწავლების მეთოდის დახალისება

მაგრამ მაინც - თანამედროვე მეცნიერებამ აღიარა, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური, ყველასთვის საუკეთესო მეთოდი. ამის მიზეზი ორია: კონკრეტული ენები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან; ის, რაც კარგია ერთი ენისთვის, შეიძლება არ გამოდგეს სხვანაირი ენების მქონე ენისთვის; და მეორე - ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან ადამიანებიც, მათი ნამყვანი უნარის ტიპი სხვადასხვაა (პ. გარდნერის მიხედვით); ის, რაც კარგია, მაგ., ენობრივი უნარის ტიპისთვის, შეიძლება არ გამოდგეს მხედველობითი თუ კინესთეტიკური ტიპისთვის. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ მთავარი „ოქროს წესი“ დაადგინა - მეთოდი აუცილებლად დაბალანსებული უნდა იყოს.

როგორც სახელწოდება გვუხსნება, დაბალანსება გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის შენონასწორებას; აგრეთვე - ასოსა და ბგერაზე მუშაობის, ანუ ფონოლოგიისა და გრაფოლოგიის შენონასწორებას. გულისხმობს აგრეთვე აქტივობათა დიდ მრავალფეროვნებას (დაუშვებელია სულ ერთფეროვანი და სწორხაზოვანი მეთოდებით სწავლება - ასეთ პირობებში ბავშვების დიდი ნაწილი ვერ ეღირსება მათი ტიპისთვის შესაფერისი აქტივობები).

დაბალანსებული ან დაუბალანსებული შეიძლება იყოს როგორც სინთეზურ-ანალიზური, ისე ანალიზური და ანალიზურ-სინთეზური მეთოდები. მეთოდებმა სახელწოდებები მიიღო იმის მიხედვით, თუ რომელია მათთვის ნამყვანი და უპირატესი - ანალიზი თუ სინთეზი.

პრაქტიკაში წმინდა სახით არც სინთეზური და არც ანალიზური მეთოდი არ არსებობს - ანალიზური მეთოდიც იყენებს ხოლმე სინთეზს და სინთეზურიც - ანალიზს. მაგრამ იმისათვის, რათა მეთოდი იყოს დაბალანსებული, ეს უნდა ხდებოდეს გეგმაზომიერად და სისტემატურად და არა აქა-იქ და შემთხვევითად. უფრო ზუსტად: თუნდაც რომ მეთოდი იყოს წმინდად დალმავალი, მასში გეგმაზომიერად და სისტემატურად უნდა იყოს სინთეზის სავარჯიშოები, საკმარისად უნდა განმტკიცდეს ბგერა-ასოს შესატყვისობა; ესე იგი, უნდა ისწავლებოდეს ცალკეული ასოებიც, სიტყვის გარეშე (და არა მხოლოდ ასოები მთელ-მთელ სიტყვებში); პირიქით - აღმავალ მეთოდში გეგმაზომიერად და სისტემატურად უნდა იყოს ანალიზის სავარჯიშოები და მუშაობა მთლიან სიტყვებზე და ტექსტებზე, ამის გარდა, ყველა მეთოდში საკმაო ყურადღება უნდა დაეთმოს ფონოლოგიურ სავარჯიშოთა სისტემას.

გავრცელებულია მცდარი შეხედულება - თითქოს დალმავალ-აღმავალი მეთოდიც და აღმავალ-დალმავალი მეთოდიც თავისთავად დაბალანსებულია. ამ შეხედულებაში ორი შეცდომაა:

I. მეთოდში ხშირად არ არის ხოლმე საკმარისი მუშაობა ანალიზზე ან სინთეზზე. მაგ., საქართველოში საყოველთაოდ დამკვიდრებული სინთეზურ-ანალიზური მეთოდი ანალიზს კი მოიცავს, მაგრამ ძალიან არასაკმარისად - არაა ანალიზის სავარჯიშოთა რეგულარული და მიზანმიმართული თანყოობა. ასევე, პირიქით, ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, შესაძლოა, არ მოიცავდეს საკმარის სინთეზის სავარჯიშოებს.

II. ანალიზისა და სინთეზის შენონასწორების დროსაც კი მეთოდი შეიძლება არ იყოს დაბალანსებული - ვინაიდან მეთოდში ფონეტიკა და გრაფიკა არ იყოს დაბალანსებული: მეთოდი არ მოიცავდეს საკმარის ფონოლოგიურ სავარჯიშოებს.

ტრადიციული მეთოდები ძალიან დაუბალანსებელია - მათში წონასწორობა ძლიერ დარღვეულია: სინთეზი და გრაფიკა მეტისმეტად სჭარბობს ანალიზსა და ფონეტიკას; მუშაობა მხოლოდ ცალმხრივ სინთეზზე და ცალმხრივ გრაფოლოგიაზე, ხოლო ანალიზი და ფონოლოგია მეტისმეტად მცირედაა ან სულ არაა.

საზოგადოდ, დაუშვებელია I კლასის დიდი ნაწილის დაყვანა ასოების (და მათემატიკაში - ციფრების) ხატვაზე და კალიგრაფიისთვის დიდი ყურადღების დათმობა. I კლასში უნდა გაიხსნას ბავშვის ენობრივი აზროვნება (აგრეთვე - ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნება), ბავშვი მშობლიური ენის სამყაროს უნდა ეზიაროს. ასონიშანთა ციფრნიშანთა წერა-ხატვა კი ამას ძლიერ აფერხებს, რადგან 6-წლიანს არ ძალუძს ერთდროულად ორ რამეზე ყურადღების გამახვილება. როცა მისი ცნობიერება უმეტესად გრაფიკით და თითების წვრილ-წვრილ მოძრაობათა კოორდინაციითაა დაკავებული, ყურადღების მიღმა რჩება მშობლიური ენაც და მათემატიკაც. მით უმეტეს, რომ 6-წლიანთა უმრავლესობას ლილების შეკვრაც კი უძნელდება. ასოებისა და ციფრების წვრილ-წვრილ ნაწილთა მოხაზვა მათთვის იმდენად მძიმე ტვირთია, რომ არამარტო მთელი ყურადღებითა და გონებრივი ძალისხმევით, არამედ მთელი სხეულითაც კი წერენ. ამ დროს ადგილი აღარ რჩება არავითარ აზროვნებას, შემოქმედებას, მშობლიურ ენასა თუ მათემატიკას.

შეჯამება

კითხვა-წერის სწავლების მეთოდები

- I. სინთეზური (სინთეზურ-ანალიზური), ანუ აღმავალი: (სურათი+) ასო -> მარცვალი -> სიტყვა -> ასოები -> სიტყვები -> წინადადება -> ტექსტი.
II. ანალიზურ-სინთეზური, ანუ დალმავალ-აღმავალი: (სურათი+) სიტყვა -> მარცვალი -> ასო -> სიტყვა -> წინადადება -> ტექსტი.
III. ანალიზური, ანუ დალმავალი: (სურათი+) ტექსტი -> სტრიქონი ანდა წინადადება -> (სურათი+) სიტყვა -> (მარცვალი) -> ასო.

განაფული (მოქნილი) კითხვა: სიზუსტე+გაბმულობა+გააზრებულობა. 4 ძირითადი ტიპის სავარჯიშოს ნიმუშები: 1. ფონოლოგიური ანალიზი; 2. ფონოლოგიური სინთეზი; 3. გრაფიკული ანალიზი; 4. გრაფიკული სინთეზი.

კითხვა-წერის სწავლების მეთოდის დაბალანსება: ანალიზ-სინთეზისა და ფონეტიკა-გრაფიკისა.

ამოცანები

1. მასწავლებლის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის განმტკიცებაში. შემდეგთაგან რომელი სასწავლო ქმედება იქნება საუკეთესო ამ მიზნის მისაღწევად?

- ა) მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვათა წყვილებს, ზოგ წყვილში ერთი სიტყვა მეორდება, ზოგი კი უღერადობით მსგავს სიტყვებს შეიცავს, მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, წყვილში ერთი და იგივე სიტყვა იყო თუ სხვადასხვა;
ბ) მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვას, მოსწავლემ უნდა დაშალოს ეს სიტყვა ბგერებად და

- ამ ბგერებისგან ახალი სიტყვა შეადგინოს;
გ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ყურნალიდან ამოჭრან დიდი შრიფტით დაბეჭდილი ასოები, შემდეგ აძლევს მათ მსხვილად დაბეჭდილ სიტყვებს, რომელთა მიხედვითაც ასოებისგან უნდა შეადგინონ ეს სიტყვები;
დ) მასწავლებელი ყუთში ყრის მოძრავი ანბანის ასოების ბარათებს და ავალებს მოსწავლეებს, სათითაოდ ამოიღონ ბარათი, წარმოთქვან მასზე დაწერილი ასოს შესაბამისი ბგერა და დაასახელონ სიტყვა, რომელიც ამ ბგერით იწყება.

2. იმავე ასარჩევი პასუხებიდან რომელია კარგი გრაფოლოგიური სავარჯიშო?

3. იმავე ასარჩევი პასუხებიდან რომელია კარგი ფონოლოგიური სავარჯიშოები? ა) ა), ბ); ბ) ბ), დ); გ) გ), დ); დ) ა), გ); ე) ბ), გ); ვ) ა), დ).

- 4. ანალიზური მეთოდით კითხვის სწავლებისას საყრდენ სიტყვად არ ვარგა „დედა“. რატომ?
ა) უმჯობესია, რომ საყრდენი სიტყვა უფრო მოკლე იყოს (ორბგერიანი ან სამბგერიანი);
ბ) მრავალ პირველკლასელს ისედაც უჭირს უდედოდ სკოლაში გაძლება და ეს სიტყვა მისთვის ამაღლვებელია;
გ) ამ სიტყვაში არ მეორდება ხმოვანი;
დ) შეუძლებელია მისი ერთმნიშვნელოვნად გათვალსაჩინოება ანუ ნახატზე წარმოდგენა;
ე) ამ სიტყვაში მეორდება ბგერა, თანხმოვანი.

5. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით. გაარკვიეთ, რომელი რეკომენდაცია გვიჩვენებს, რომ აღმავალ მეთოდს დალმავალი მეთოდის სავარჯიშოებით დაბალანსება სჭირდება?

- ა) ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვების მიერ სიტყვებში ბგერების გარჩევისა და დეკოდირების ჩვევის ათვისებაზე;
ბ) გრაფემის ფონემად დეკოდირების ჩვევის შემუშავება ბავშვისთვის საინტერესო, შინაარსიან სიტყვა-ფრაზებზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს;
გ) მთავარია სიტყვის მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება სიტყვისა და მასში შემავალი ასოების ცნობა;
დ) დამწერლობის ანბანური სისტემის მქონე ენაში კითხვის ათვისება მიზანშეწონილია ასობგერითი შესატყვისობის პირდაპირი სწავლებით;

6. გაარკვიეთ, რა ეწოდება კითხვის სწავლების შემდეგ მეთოდებს:

I. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს ახალ ასოს - დ. ის ჯერ თვითონ კითხულობს ამ ასოს, შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს, შემდეგ ასო-ასო აკითხებს სიტყვას - „დე-დე-ა“, შემდეგ მარცვლებად - „დე-და“, და ბოლოს მთლიან სიტყვას - „დედა“.

II. მასწავლებელი ნაიკითხავს დაფაზე მსხვილად დაწერილ წინადადებას: „კუ სოკოსთან მიბაკუნდა“. ჩამოკიდებს კუს სურათს წარწერით „კუ“ და სოკოს სურათს წარწერით „სოკო“. ნააკითხავს მოსწავლეებს ამ სიტყვებს და იკითხავს: - რომელია საერთო ასო ამ სიტყვებში? მოსწავლეები იტყვიან „კ“. მასწავლებელი ამ ასოს მოაძებნინებს ჯერ ამ ორ სიტყვაში, შემდეგ კი მესამე სიტყვაშიც „მიბაკუნდა“, იმის მიუხედავად, რომ კლასს ჯერ არ უსწავლია ბ და დ ასოები. ასე ასწავლის მოსწავლეებს ახალ ასოს - კ. თან, გამეორების მიზნით, მოაძებნინებს ადრე ნასწავლ ასოებსაც: ა, ი, ს, ო და სხვ.

- ა) I - ანალიზური, ანუ დალმავალი, II - სინთეზური, ანუ აღმავალი;
ბ) I - სინთეზური, ანუ აღმავალი, II - ანალიზური, ანუ დალმავალი;
გ) I - სინთეზური, II - ანალიზურ-სინთეზური;
დ) I - ანალიზური, II - სინთეზურ-ანალიზური;
ე) I - სინთეზური, ანუ დალმავალი, II - ანალიზური, ანუ აღმავალი;
ვ) I - ანალიზურ-სინთეზური, II - სინთეზურ - ანალიზური.

7. გაარკვიეთ, წინარე ამოცანის რომელ ასარჩევი პასუხშია მეთოდის უაზრო დასახლება, რომელიც არ არსებობს.

8. რომელი პრობლემის დასაძლევადაა კარგი წინა ამოცანის I მეთოდი?

- ა) დაწერილი სიტყვის გამთლიანების (ცნობილი ხუმრობაა: ბავშვმა ნაიკითხა ასო-ასო „ი-ხ-ვი“ ჰკითხეს - რა ეწერა? - ბატი!);
ბ) სამეტყველო ბგერასთან შესაბამისი ასოს დაკავშირებისა და ამ კავშირის ძლიერ განმტკიცებისა;
გ) ბგერებად დაშლილი მოსმენილი გრძელი სიტყვის გამთლიანებისა და მთელი სიტყვის აღქმისა;
დ) მოსმენილი სიტყვის დაშლისა ბგერებად, რათა აღქმულ იქნეს შემადგენელი ბგერები და სიტყვის ბგერითი შემადგენლობა ზუსტად იქნეს გაგონილი (მაგ.: ბალთან, ბალთან თუ ბართან?);
ე) დაწერილ სიტყვაში ცალკეული ასოების დანახვისა და სიტყვის ზუსტად ამოკითხვის (მაგ.: ბალთან, ბალთან თუ ბართან?).

9. რომელი პრობლემის დასაძლევადაა კარგი წინა ამოცანის II მეთოდი? პასუხი შეარჩიეთ წინა ამოცანის სავარაუდო პასუხებიდან.

10. შემდეგთაგან რომელი სასწავლო ქმედება არ გამოდგება ფონემური ანალიზ-სინთეზის უნარის განსავითარებლად?

- ა) სიტყვაში „ცელი“ შეცვალე მესამე ბგერა ისე, რომ სხვა სიტყვა მიიღო;
ბ) ყურადღებით მომისმინე: „ზ დ ა რ ბ ი“. რა სიტყვა ვთქვი?
გ) დაშალე და ისე თქვი სიტყვა „მსხალი“;
დ) დაასახელე პირველი ბგერა სიტყვაში „თოვლი“;
ე) დაფაზე ნელა დაგწერ სიტყვებს. თან ეს სიტყვები შენ უნდა ნაიკითხო.

11. გაარკვიეთ, შემდეგთაგან ყველაზე მეტად რა უჭირს მოსწავლეს, რომელსაც კარნახით წერა უძნელდება, თუმცა ცალკეული ბგერის მოსმენისას შესატყვის ასოს ადვილად წერს:

- ა) სიტყვის გრაფიკული ანალიზი;
ბ) ასოს გადაყვანა შესატყვის ბგერაში;
გ) ბგერის გადაყვანა შესატყვის ასოში;
დ) სიტყვის გრაფიკული სინთეზი;
ე) სიტყვის ფონემური ანალიზი;
ვ) სიტყვის ფონემური სინთეზი.

12. გაეცანით I კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დავალებებს: I. ჩასვი გამოტოვებული ასო:

მ-ე ქუ-ი
II. ჩანერე ცხოველის სახელი:
[ხატვა] [ხატვა] [ხატვა] [ხატვა]

III. ნაიკითხე სიტყვები და შეაერთე ისრებით შესაბამის ნახატთან:

[ხატვა] [ხატვა] [ხატვა] [ხატვა]
[ხატვა] [ხატვა] [ხატვა] [ხატვა]
ბარი ბალი

მასწავლებლის მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ, რომ ფონემას სიტყვების განმასხვავებელი ფუნქცია აქვს (ცხადია, უნდა ისწავლონ პრაქტიკულად, ანუ ტერმინების გარეშე). რომელი დავალება გამოადგება მასწავლებელს ამ მიზნის მისაღწევად? მხოლოდ:
ა) III; ბ) II და III; გ) II; დ) I და II; ე) I და III; ვ) I; ზ) სამივე.

Table with 2 rows and 12 columns: ამოცანების პასუხები. Row 1: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12. Row 2: დ, გ, ა, დ, ბ, ბ, ე, ე, ა, ე, ე, ა.

საერთაშორისო კვლევა

ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი – ESPAD (the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs), რომელიც ევროპის 35-ზე მეტ ქვეყანაში ტარდება. პროექტის ფარგლებში, 2015 წლის ნოემბერში, ჩატარდა საერთაშორისო კვლევა, რომელიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) ტექნიკური და ფინანსური დახმარებით, განახორციელა. კვლევაში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალი, პედაგოგები და მოსწავლეები.

კვლევის ჩასატარებლად, ქვეყნის მასშტაბით, შეარჩიეს მეთექვსმეტე, რომელთა 73%-ს ESPAD-ის სამიზნე ჯგუფი – 1999 წელს დაბადებული მოსწავლეები – წარმოადგენს (1999 წელს დაბადებულ პირთა 64%). გამოყენებულ იქნა ორეტაპიანი (სკოლა და კლასი), პროპორციული, მარტივი შემთხვევითი შერჩევა. თავდაპირველად, მოსწავლეები სკოლის სიდიდის პროპორციულად შეარჩიეს, რომ თავიდან აეცილებინათ მცირე ზომის სკოლების გადამეტებული წარმომადგენლობა. შემდეგ, ასევე პროპორციულად, თითოეულ სკოლაში შერჩეულ იქნა თითო კლასი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 190-მა სკოლამ და კლასმა; სამმა კერძო სკოლამ უარი განაცხადა მონაწილეობაზე, სკოლების უმრავლესობამ თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოხატა. არამონაწილე სკოლებს კვლევის განხორციელება არ შეუფერხებიათ. სკოლებთან თანამშრომლობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა და რაიმე კონკრეტული პრობლემა არ წამოჭრილა.

კვლევის, როგორც წესი, ეთმობოდა 45 წუთი (1 გაკვეთილი). საკლასო ანგარიშების თანახმად, არ ყოფილა დარღვევები და მოსწავლეებმა სერიოზულად იმუშავეს. მათი თანამშრომლობა ნებაყოფლობით იყო. მხოლოდ სამმა (0.12%) მოსწავლემ განაცხადა უარი კვლევაში მონაწილეობაზე, 50 (2%) მოსწავლეს მშობლებმა არ დართეს ნება. მოსწავლეების აზრით, კითხვარი რთული არ იყო და არც ენასთან დაკავშირებული პრობლემები შექმნილა, რადგან კითხვარი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც იყო ხელმისაწვდომი.

კითხვარები ანონიმური იყო, მასში არ იწერებოდა სახელი, გვარი ან რაიმე სხვა პერსონალური ინფორმაცია. კითხვარის შევსების შემდეგ, მოსწავლეებს კონვერტი ათავსებდა, რომელიც ილუქებოდა. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, კვლევის ხელმძღვანელი კონვერტებს აგროვებდა. კვლევის ფარგლებში, განალიზდა 2477 სრულად შევსებული კითხვარი, მათგან 1961 გამოკითხული დაბადებულია 1999 წელს.


პირთა შიდა შეფასება თამბაქო

- ქართველ მოსწავლეებში სიცოცხლის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების გავრცელება 43%-ია;
- მონევა გოგონებში (30%) უფრო ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე ბიჭებში (54%);
- მოსწავლეების 18%-მა განაცხადა, რომ სიგარეტი მონია უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში;
- საქართველოში, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, მონევა ბიჭებში (26%) თითქმის სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში (9%);
- რეგულარული მწვეველია მოსწავლეთა 12% (ბიჭების 19% და გოგონების 4%);
- მოსწავლეთა 21%-მა (ბიჭების 28% და გოგონების 13%) მონევა პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა;
- მოსწავლეთა 4% (ბიჭების 6% და გოგონების 2%) აღნიშნავს, რომ ყოველდღიური მონევა 13 წლის ასაკში ან უფრო ადრე დაიწყო;
- 60%-მა განაცხადა, რომ სიგარეტის შოვნა საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია;
- 19%-ს (ბიჭების 25% და გოგონების 11%) ოდესმე მოუწევია ელექტრონული სიგარეტი და 9%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 4%) ელექტრონული სიგარეტი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მონია;
- 33%-ს (ბიჭების 43% და გოგონების 21%) ოდესმე მოუწევია ჩილიმი და 14%-მა (ბიჭების 22% და გოგონების 6%) ჩილიმი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მონია;
- მოსწავლეთა 4%-მა (ბიჭების 5% და გოგონების 2%) ელექტრონული სიგარეტი პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მონია და 1%-მა (ბიჭების 2.0% და არც ერთი გოგონა) ამ ასაკში მისი ყოველდღიურად გამოყენება დაიწყო.

ალკოჰოლი

- მოსწავლეების 85%-მა (ბიჭების 86% და გოგონების 83%) აღნიშნა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი. 40-ჯერ ან მეტჯერ დალია 22%-მა. ეს მაჩვენებელი ბიჭებს შორის (31%), თითქმის სამჯერ უფრო მაღალია გოგონებთან (12%) შედარებით;
- მოსწავლეთა 43%-მა განაცხადა, რომ ალკოჰოლი მიიღო უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.
- ქართველ მოსწავლეთა შორის ყველაზე ხშირად მოხმარებული სასმელი ღვინოა (40%), შემდეგ მოდის ლუდი (36%), სპირტიანი სასმელები (30%) და ალკოჰოლი (14%). ყველა სასმელს, გოგონებზე მეტად, ბიჭები ღებულობენ;
- 41%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ადვილი ჰქონდა ალკოჰოლის მძიმე ებოზოდურ მოხმარებას, რაც უფრო ხშირი იყო ბიჭებში (51%), ვიდრე გოგონებში (30%);
- ღვინო ყველაზე ხშირად მოხმარებული სასმელია ადრეულ ასაკში და მოსწავლეთა 64%-მა აღნიშნა, რომ, მინიმუმ, ერთი ჭიქა ღვინო 13 წლის ან უმცროს ასაკში, ან უფრო ადრე აქვს მიღებული. ღვინოს მოსდევს ლუდი (57%), სპირტიანი სასმელები (36%) და ალკოჰოლი (30%). ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის ადრეული მოხმარება გაცილებით უფრო მაღალია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში;
- ქართველ მოსწავლეთა 43%-მა (ბიჭების 50% და გოგონების 35%) აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც დამთვრალა. მოსწავლეთა 25%-მა (ბიჭების 29% და გოგონების 20%) განაცხადა, რომ დათვრა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში და 10%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 7%) – უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში;
- მოსწავლეთა 22% (ბიჭების 29% და გოგონების 13%) დამთვრალა 13 წლის ან უმცროს ასაკში;
- ალკოჰოლის უკანასკნელი მიღების დროს მოსწავლეთა 33% იმყოფებოდა საკუთარ სახლში, 23% – სხვის სახლში და 20% – რესტორანში;
- ალკოჰოლის მიღების ყველაზე ხშირ მიზეზად დასახელდა: „გასართობად“ (41%), „წვეულებაზე უკეთ გასართობად“ (40%) და „იმითმობ, რომ წვეულებებზე/დღესასწაულებზე უკეთესი დრო გავატარო“ (40%);
- სმასთან დაკავშირებული ყველაზე ხშირად მითითებული პრობლემა იყო: „შენუხება წვეულების დროს ან მეგობრულ გარემოცვაში ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ“ (32%), „შენუხება ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ“ (33%);
- მოსწავლეთა 73%-ს, სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც, აქვს მიღებული ენერგეტიკული სასმელი; 60%-მა მიიღო უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, ხოლო 48%-მა – უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

ალკოჰოლის მიღება მთელი სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, სქესის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)



აკრძალული ნარკოტიკები

- მოსწავლეების 11%-მა აღნიშნა, რომ, სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც, აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი). 8%-მა მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოიყენა, მოსწავლეთა 4%-მა კი – უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ბიჭებში მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გამოყენება გაცილებით მაღალია. მოსწავლეების 2%-მა მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) 13 წლის ან უმცროს ასაკში გასინჯა;
- ქართველ მოსწავლეთა შორის, მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გარდა, ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკებია: ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები (ექიმის დანიშნულების გარეშე) – 11%, მაგიური სოკოები (3%), ტაბლეტები (მედიკამენტები) ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად „კაიფის“ მისაღწევად (3%), „ბიო“ სპაისი (2.6%), ჰალუცინოგენები (2%) და ტკივილგამაყუჩებლები „კაიფის“ მისაღწევად (2%);
- მოსწავლეებს ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ ნარკოტიკებად მიაჩნიათ: კანაფი (21%), ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები (12%), ექსტაზი (9%) და „ბიო“ სპაისი (7%);
- მოსწავლეთა 4%-ს, სიცოცხლის განმავლობაში, ერთხელ მაინც გაუსინჯავს ექსტაზი, 2%-ს – ამფეტამინები და კოკაინი. ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) მოხმარება ქართველ მოსწავლეებში საკმაოდ მაღალია. 12%-ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს ინჰალანტი, 6%-ს კი – უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ინჰალანტები წარმოადგენს ნივთიერებათა ერთადერთ სახეობას, რომელსაც გოგონები უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ბიჭები. 7%-ს ოდესმე მოუხმარია ახალი ნივთიერებები, რომელთა მოქმედება ნარკოტიკების მსგავსია;
- მოსწავლეთა მიერ საკმაოდ სარისკოდ აღიქმება მარიხუანის (60%), ამფეტამინების (58%), ექსტაზის (57%) და სიგარეტის (51%) რეგულარული გამოყენება.

ინტერნეტი, თამაში, აზარტული თამაში

- ყველაზე პოპულარული ინტერნეტაქტივობებია: სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია (64%), მუსიკის, ვიდეოს, ფილმების გადმოწერა/ონლაინ ნახვა (48%) და კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ. (36%);
- მოსწავლეთა აზრით, ისინი ძალიან დიდ დროს უთმობენ სოციალურ მედიას (58%) და ეთანხმებიან მშობლების აზრს, რომ სოციალურ მედიას ძალიან დიდ დროს უთმობენ (49%);
- მოსწავლეთა 14%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფულზე უთამაშია.

ფსიქოსოციალური ნორმები

- მოსწავლეების და მათი მშობლების უმრავლესობა საქართველოში დაიბადა. მშობლეთა უმრავლესობას საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. მოსწავლეთა უმრავლესობა ცხოვრობს მამასთან, დედასთან, და-ძმასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად;
- მოსწავლეებს თითქმის ყოველთვის აქვთ საშუალება, მიიღონ სითბო და ზრუნვა დედის და/ან მამის და მათი საუკეთესო მეგობრისაგან; ისინი თითქმის ყოველთვის იღებენ ემოციურ მხარდაჭერას საუკეთესო მეგობრისაგან. მშობლებმა, ძირითადად, იციან ვისთან და სად ატარებს საღამოს მათი შვილი. მშობლებისაგან ფულის მიღება არ ითვლება პრობლემურად;
- მშობლებმა, თითქმის ყოველთვის იციან, სად ატარებს მათი შვილი შაბათ საღამოს;
- მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი შეფასება უკანასკნელი სემესტრის ბოლოს საშუალოზე მაღალი იყო. 94% ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილია დედასთან, მამასთან და მეგობრებთან ურთიერთობით;
- უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მშობლებს არ ესაიამოვნებათ, თუ ისინი დათვრებიან, გამოიყენებენ მარიხუანას/ჰაშიშს ან ექსტაზს;
- მოსწავლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწვევიან სიგარეტს (83%), იღებენ ალკოჰოლს (85%) და თვრებიან (77%). მოსწავლეთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწვევიან მარიხუანას ან ჰაშიშს (კანაფი).

თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	46	70	57
1-2	18	13	15
3-9	11	7	9
10-19	4	3	3
20-39	4	2	3
40+	18	5	12

სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის გამოყენება, სქესის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	14	17	15
1-2	10	16	13
3-9	19	31	25
10-19	14	15	14
20-39	12	9	11
40+	31	12	22

საერთაშორისო კვლევა

ექსტაზის, ამფეტამინის, მეტამფეტამინის, კოკაინის და კრეკის მიღების სისხრივ სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
ექსტაზი	7	1	4
ამფეტამინი	3	1	2
მეტამფეტამინი	2	0	1
კოკაინი	2	1	2
კრეკი	2	0	1

13 წლის ან უმცროს ასაკში სხვადასხვა ნივთიერებების პირველად მიღების გამოცდილება (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
მარიჟანა/ჰაშიში	3.65	0.87	2.35
ტრანკვილიზატორი/სნდატიური	1.44	0.88	1.18
ამფეტამინი/მეტამფეტამინი	0.58	0.33	0.46
კოკაინი/კრეკი	0.86	0.33	0.62
ექსტაზი	1.06	0.22	0.67
ინჰალანტები	3.45	2.85	3.17
ალკოჰოლი+ტაბლეტები	0.96	0.55	0.77

ინტერნეტით სარგებლობა აქტივობების მიხედვით უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, 4 და მეტი დღე (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
სოციალური მედია	60	67	64
ონლაინ თამაშები	23	2	13
მომგებიანი თამაშები	10	1	6
კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ.	31	42	36
მუსიკის, ვიდეოების გადმოწერა/ონლაინ ნახვა	47	49	48
სხვადასხვა პროდუქციის, თამაშების, წიგნების ყიდვა-გაყიდვა	13	6	10

სხვადასხვა აზარტული თამაშის (ფულზე) სისხრივ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, სქესის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)

	მამრობითი	მდედრობითი	სულ	
სლოტები	ყოველთვის	4	0	2
	ყოველკვირეულად	2	0	1
კარტი და კამათლებით თამაში	ყოველთვის	9	5	7
	ყოველკვირეულად	5	1	3
ლატარეა	ყოველთვის	3	1	3
	ყოველკვირეულად	2	0	1
ფსონის დადება სპორტზე ან ცხოველებზე	ყოველთვის	7	1	4
	ყოველკვირეულად	5	1	3


შეარაგობითი ანალიზი - საძარბოელო და ESPAD-ის საშუალო მაჩვენებლები

ზოგიერთი მაჩვენებლები ქართველ მოსწავლეებში უფრო მაღალია, ვიდრე ESPAD-ის საშუალო მაჩვენებლები; მაგალითად, ალკოჰოლის მიმდებარე ეპიდემიური მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; სიცოცხლის განმავლობაში - არაღებულ ნარკოტიკების, ინჰალანტების, ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების, ტრანკვილიზატორებისა და სედატიური საშუალებების მიღება, ექიმის დანიშნულების გარეშე. მაჩვენებლები დაბალია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით -

რების მიხედვით - თამბაქოს მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; ალკოჰოლის მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) მიღება სიცოცხლის განმავლობაში.

ზოგადად, კვლევის შედეგებს თუ გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მოსწავლეთა მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ESPAD-ის საშუალო მაჩვენებლებისგან.

საქართველოს და ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები ძირითადი ინდიკატორის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)



თამბაქოს მოხმარება - სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ ბიჭებში უფრო მაღალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები; გოგონებში იგივე მაჩვენებლები შედარებით დაბალია. გენდერული განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია (26% ბიჭებში და 9% გოგონებში).

ალკოჰოლის მოხმარება - სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ ბიჭებში და სიცოცხლის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებელი ქართველ გოგონებში უფრო მაღალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები; უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ გოგონებში უფრო დაბალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები. თვალსაჩინოა გენდერული განსხვავება ქართველ მოსწავლეებში უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით (20%).

აპრძალული ნარკოტიკების მოხმარება - აკრძალული ნარკოტიკების სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ მოსწავლეებში უფრო დაბალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები. საქართველოში გენდერული განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია (24% ბიჭებში და 6% გოგონებში). ყველა ESPAD ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკი მარიხუანაა (ჰაშიში, კანაფი). საქართველოში განსაკუთრებით მაღალი გენდერული სხვაობა დაფიქსირდა (19% ბიჭებში და 3% გოგონებში). აკრძალული ნარკოტიკების სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლების იდენტურია, გარდა ექსტაზისა; ექსტაზის მოხმარების გავრცელება 2-ჯერ აღემატება საშუალო მაჩვენებელს. გენდერული სხვაობა საქართველოში კვლავ ყველაზე მაღალია (7% ბიჭებში და 1% გოგონებში).

ნარკოტიკის მიღების ნაადრევი დაწყების მაჩვენებლები და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების აღქმული ხელმისაწვდომობა საქართველოში შედარებით დაბალია.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, ასევე, აკრძალულ ნარკოტიკებთან დაკავშირებით.

ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) მოხმარება - ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება ქართველ მოსწავლეებში უფრო მაღალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები. სახეზეა მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება (10% ბიჭებში და 3% გოგონებში).

ინტერნეტი, თამაში, აზარტული თამაში - ქართველ მოსწავლეებში ინტერნეტის გამოყენების სისხრივ, უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, უფრო დაბალია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები. ონლაინ-თამაშები არცთუ პოპულარულია საქართველოში, მაგრამ აზარტული თამაშების გავრცელების მაჩვენებელი 2-ჯერ მეტია, ვიდრე ESPAD 2015-ის საშუალო მაჩვენებლები.

მოამზადა
ლალი თვალაბაიშვილი

ინფორმაცია

სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ალექსანდრე ჯეჯელავამ საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეები დააჯილდოვა. მინისტრმა საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული 5 და ინფორმაციის ეროვნულ ტურნირში გამარჯვებისთვის - 13 მოსწავლე დააჯილდოვა. მათ სხვადასხვა პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ძალიან მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, საერთაშორისო და ადგილობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული ბავშვების ნახალისება. ეს ოლიმპიადები, ფაქტობრივად, ყველაზე ნიჭიერი და მონდომებული ბავშვები“



ბის გამოვლენის ინსტრუმენტი. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვის ძალისხმევა აღინიშნოს და დაჯილდოვდეს. ამ გზებით, საბჭოთა განათლების სისტემა მხოლოდ ყველაზე ნიჭიერების ნახალისებას უსვამდა ხაზს. ჩვენი სურვილია, რომ, მომავალში, ყველა ბავშვი ჩაერთოს სხვადასხვა ინტელექტუალურ შეჯიბრში და სულ უფრო მეტი გამარჯვებული გვყავდეს.

ადამიანები, რომლებიც დღეს დაეჯილდოვებოდნენ, ნამდვილად გამორჩეულები არიან ჩვენს მოსწავლეებში, ისინი განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ და მიხარია, რომ საშუალება გვაქვს, სათანადოდ დავაფასოთ მათი ძალისხმევა და ნაწახალიისით როგორც სიმბოლური, ასევე მატერიალური პრიზებით.“

გიორგი კლდიაშვილი, გამარჯვებული: „გავიმარჯვე ეროვნულ ტურნირში მათემატიკაში, ჩემს საკონკურსო კატეგორიაში მეორე ადგილზე გავედი. ასევე ვიყავი ინფორმაციის ნაკრებში. ინფორმაციის საერთაშორისო ოლიმპიადა გაიმართა რუსეთში, საქართველოს ოთხი ბავშვი წარმოადგენდით, მე მეორე ადგილი ავიღე. ჩვენი საერთო მონაგარი იყო ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო.“

დღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჩვენი ნახალისება ძალიან კარგია, ეს გარკვეული სტიმულია. მარშანდელ ოლიმპიადებზე ბრინჯაოს მედალი ავიღე და ნახალისების შემდეგ მქონდა სტიმული იმისა, რომ გამეუმჯობესებინა შედეგი, თუნდაც ამ მიზეზის გამო. ნელს ვერცხლის მედალი ავიღე, წინ კიდევ ორი წელი მაქვს და ვეცდები შედეგი გაეუმჯობესოს.“

ანა ონოფრიშვილი, გამარჯვებული: „ჩემთვის საკმაოდ დიდი წარმატება იყო ამ ოლიმპიადაში გამარჯვება. გამარჯვებულთა შორის ერთადერთი გოგონა ვარ, თან ყველაზე უმცროსიც ვარ და ჩემთვის ეს დიდი მიღწევაა.“

„ლურჯი ოქანა“ - წარმატებული ბიზლიოთეკა

პროექტ „ლურჯი ოქანის“ ფარგლებში, ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ ცენტრში „სილიკონ ველი თბილისი“, ბიზნეს ვორკშოპი გაიმართა თემაზე „მართვის სტანდარტები და გაყიდვების ხელოვნება თანამედროვე სამყაროში“. ლონისძიების ფარგლებში, საქართველოს წამყვანმა ტრენერებმა და ბიზნეს კონსულტანტებმა მასტერკლასები ჩაატარეს.

ვორკშოპი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გახსნა. ლონისძიებას საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნეს ფაკულტეტის ლექტორები და ყველაზე რეიტინგული სტუდენტები ესწრებოდნენ.

პროექტის შესახებ

პროექტი „ლურჯი ოქანა“ - ბიზნესლიტერატურის სერიის, რომელიც ცნობილი ბიზნეს გუსტავერების ქართულ ენაზე გამოცემას გულისხმობს და აერთიანებს ისეთი ავტორების ნამუშევრებს, რომლებიც პარან: ბრანდ თრენინგი, დევიდ ალანი, გაი კანასაჰი და სხვ.

პროექტის ფარგლებში უკვე გამოიცა ისეთი გუსტავერები, რომლებიც: ბრანდ თრენინგი - „შეძამება-ყაყა“, „აკოვება-ყაყა“ და „ბაზლი გაყიდვების სუპერ-პარსკვლავი“; სერია „მართვა“ - დევიდ ალანის „საქმისთან გამკლავების ხელოვნება“, ელ რანის & ჯეკ ტრაუტი - „მარკეტინგული ომები“ და სხვ.

სამოქალაქო განათლება



მარიამ დავითაშვილი

სამოქალაქო განათლებაში გამოყენებული სწავლების მეთოდები

ინტერაქტიული სწავლა-სწავლება

ინტერაქტიული სწავლა-სწავლება ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებისა და ჰუმანიზმის პრინციპებს (ჰუმანიტარული პედაგოგია მიზნად ისახავს მოსწავლის მრავალმხრივ: ნებელობით, ზნეობრივ, სოციალურ, სამოქალაქო-დემოკრატიულ, ეროვნულ, კულტურულ, ეკოლოგიურ, გონებრივ განვითარებას). ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ამ უკანასკნელის ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებს. ინტერაქტიული სწავლა-სწავლება პედაგოგიაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები შემოაქვს, აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაზე.

ენერჯაიზერები

ენერჯაიზერები ინტერაქტიული, თანამშრომლობითი აქტივობებია, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს. მათ შეუძლიათ დაეხმარონ ჯგუფის წევრებს ერთმანეთის გაცნობაში, დისკუსიის წარმართვაში, ტემპის შეცვლაში ან აქტივობის დასასრულს, დასკვნის გამოტანაში, მაგალითად:

არაპირდაპირი საუბრები

დაყავით ჯგუფი ორად, პირველი ნახევარი ქმნის რგოლს, საათის ისრის მიმართულებით, მეორე ნახევარი კი - გარე რგოლს, საათის ისრის საწინააღმდეგოდ.

ჩართეთ ფირი. როგორც კი მუსიკა დაიწყება, მოთამაშეები, ორივე რგოლიდან, მოძრაობენ პირდაპირი მიმართულებით. როცა მუსიკა წყდება, ტრიპლებიან უახლოესი მოთამაშისკენ მეორე რგოლში და წარუდგენენ საკუთარ თავს. შემდეგ პარტნიორები მოკლედ საუბრობენ თქვენ მიერ გამოცხადებულ თემებზე:

- ❖ საინტერესო რამ, რაც ზაფხულში გააკეთეთ;
- ❖ ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ სამზარეულოში;
- ❖ როგორ ისწავლეთ ველოსიპედის ტარება;
- ❖ თამაში, რომელსაც, ჩვეულებრივ, ვერ იგებთ;
- ❖ როგორ ეხმარებით სახლში ოჯახის წევრებს;

- ❖ საყვარელი ცხოველი ან ფრინველი, რომლის ყიდვაც გასურთ;
 - ❖ ის, რასაც კარგად აკეთებთ;
 - ❖ საყვარელი მომღერალი ან სიმღერა;
 - ❖ საუკეთესო წიგნი, რომელიც ოდესმე წაგიკითხავთ.
- თითოეულ შემთხვევაში, როცა მუსიკა წყდება (ან უბრალოდ ამბობთ „გაჩერდი“), წამოიძახეთ ახალი თემა პარტნიორებისთვის განსახილველად ან ამის ნაცვლად, დაასახელეთ ანბანის ასო. მოთამაშეები განიხილვენ თემას, რომელიც იწყება ამ ასოზე. „ა“ ასოს შემთხვევაში, შეუძლიათ ისაუბრონ ავოკადოზე, აფრიკაზე და ა.შ.

მეხსიერება

„ვერიკა“ - ძველ ბერძნულ ენაზე ნიშნავს „ვიპოვე!“ . ეს არის არქიმედეს შექმნილი ჰიდროსტატიკური კანონის აღმოჩენასთან დაკავშირებით. არქიმედეს შემდეგ ამ გამოთქმას ხმარობენ სიხარულის გამოსახატად, რთული ამოცანის ამოხსნის შემთხვევაში.

ძველ საბერძნეთში ვერისტიკაში იგულისხმებოდა სწავლების სოკრატისეული მეთოდი, როდესაც მასწავლებელს მოსწავლე მიჰყავს რომელიმე ამოცანის ამოხსნისაკენ, სათანადო შეკითხვების დასმის გზით. ხშირად ეს მეთოდი შეიძლება ინტუიციასაც ემყარებოდეს.

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს საკუთარი და სხვათა შეხედულებისა და სუბიექტური მოსაზრების გადასინჯვასა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების უნარს. ეს უნარი ყალიბდება პრობლემის გაანალიზების დროს, ასევე, არსებული პრობლემის მიმართ საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბების შედეგად.

კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ინფორმაციის ყურადღებით გაცნობას, სადავო პრობლემის ან კონფლიქტის სხვადასხვა კუთხით განხილვას, ამავე დროს, კრიტიკული აზროვნება პიროვნებას ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, რაციონალური და ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნის გამოტანაში.

განსხვავება კრიტიკულ აზროვნებასა და ლოგიკურ აზროვნებას (რომელსაც ასევე ვიყენებთ სწავლა-სწავლების პროცესში) შორის არის ის, რომ ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში, პრობლემა წინასწარ არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამყლავებელი და

დასადგენია და შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა. პრობლემის გადაჭრა, ალტერნატივების მოფიქრება მის გადასაჭრელად, ხელს უწყობს ზედა დონის უნარების განვითარებას მოსწავლეებში.

კრიტიკული აზროვნების მახასიათებლებია: სიცხადე, სიზუსტე, სიღრმე, მრავალმხრივობა, ლოგიკა, რელევანტურობა.

სიცხადე

შეგიძლიათ განმარტოთ? რას გულისხმობთ? შეგიძლიათ აღწეროთ იგივე სხვაგვარად? შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი? გთხოვთ, უფრო მეტად გაშალოთ მსჯელობა.

სიზუსტე

როგორ შეიძლება ამის გადამოწმება? რა მონაცემები გვაქვს? შეგიძლიათ მეტი დეტალი მოიყვანოთ?

სიღრმე

რა გარემოებებს ითვალისწინებს არგუმენტი, რამდენად საკმარისია ეს მიზეზები? რომელია ძირითადი და რომელი მეორადი?

მრავალმხრივობა

რა იქნებოდა საწინააღმდეგო არგუმენტი? რა შეზღუდვები აქვს ჩვენს დასაბუთებას? სხვაგვარად თუ შეიძლება ვიმსჯელოთ ამ საკითხზე?

ლოგიკა

ხომ არ ვხტებით დასკვნებზე? რამდენად თანმიმდევრულია მსჯელობა? რა წინააღმდეგობები გვხვდება?

რელევანტურობა

რა კავშირი აქვს მონაცემს დასკვნასთან? როგორ უკავშირდება არგუმენტი კითხვას?

კრიტიკული აზროვნების არქონა ინფერს:

- ❖ არჩევანის ვერ (არ) გაკეთებას;
- ❖ დაქვემდებარებულობას;
- ❖ ჯანმრთელობის პრობლემებს;
- ❖ პატიმრობას (კრიმინალურ სამყაროში გადასვლა);
- ❖ არატოლერანტულობას;
- ❖ უბედურ შემთხვევას.

კვალი ნათელი

ლაგაზად დამთავრებული სისოსხლე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციალა სვანიძე იმ თაობას მიეკუთვნება, რომელთაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება-გაძლიერების სიმძიმე, როგორც წინა თაობის საქმის გამგრძელებლებმა, თავიანთი მხრებით ზიანდეს. მან ღირსეულად გააგრძელა ქართული გეოლოგიის ფუძემდებლების: ალექსანდრე ჯანელიძის, აკადემიკოს ივანე კაჭარავას, ივანე კახაძის და მედეა უზნაძის ტრადიციები.

გეოლოგი მოძრაი უნდა იყოს, მინას არ მოშორდეს; აუდიტორიაში სტუდენტს ისე ვერ გაიცნობ, როგორც ბუნების ნიაღშიო - ასეთი იყო მისი აზრი. არც თავად მოცილებია მინას პროფესორული მოღვაწეობის განმავლობაში. სტუდენტებთან ერთად ხშირად იყო ველზე. იქ შეგროვილი მასალა (ნიმუშები), რომელიც სხვადასხვა გეოლოგიურ ერას მიეკუთვნება, დღესაც ამშვენებს გეოლოგიის ფაკულტეტის უნიკალურ სასწავლო მუზეუმს. ქალბატონ ციალას თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტებთან. „ისინი ჩვენს თაობაზე არა თუ ნაკლები, უკეთესნიც არიანო“ - იტყოდა ხოლმე. თითოეული სტუდენტის ჭირ-ვარამი იცოდა და, შეძლებისდაგვარად, მხარში ედგა მათ. ამიტომაც შეარქვეს „დედა-ციალა“.

საოცრად საინტერესო და მომხიბვლელი იყო მისი ლექციები, ღრმა ცოდნითა და სისადავით გამორჩეული. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ხშირად ვიყენებდი მის მეთოდებს. ეს იყო სტუდენტებთან ურთიერთობა, საგნისადმი დამოკიდებულება თუ ლექციის ჩატარების მანერა და სხვ. უამრავი მაღლობის წერილი ინახებოდა მის არქივში. სტუდენტებისგან გამოგზავნილი; მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა და აზიარა მეცნიერებას - მისი ხელდასმით არაერთმა ახალგაზრდამ დაიწვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები. ისინი წარმატე-

ბით მოღვაწეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გეოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

როდესაც 2001 წელს ქალბატონ ციალაზე წიგნი გამოვეცი - „ციალა სვანიძე, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“, მისი საყვარელი ფრაზა წაუფიქრებინა: „მანახეთ თქვენი გოლგოთა ერთხელ, და ჩემს ჯვარს თავად ავიტან გზაზე“.

მან ეს ჯვარი ღირსეულად ატარა ბოლომდე.

ქალბატონი ციალა არ იფარგლებოდა მხოლოდ გეოლოგიური მეცნიერების სფეროში მოღვაწეობით. ორმოცი წელი ედგა სათავეში უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს. მე მქონდა ბედნიერება მის გვერდით დგომის, ამ საბჭოს მდივანი გახლდით ბოლო წუთამდე. ჩემს თვალწინ იგვემდებოდა და ტარდებოდა ის სასწაული ღონისძიებები, რომელსაც ქალბატონი ციალა აკეთებდა; საბჭოს წევრების ძირითადი ბირთვი, რომელიც დაკომპლექტებული იყო საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლებით, თავდაუზოგავად იღვწოდა მის გვერდით. არ დარჩენილა საქართველოში კუთხე, რომელსაც მისი ხელი არ მიწვდომოდეს. მაღალმთიანი რაიონის სკოლების მომარაგება წიგნებით, სასწავლო ინვენტარით, ლაბორატორიების მოწყობით და ა.შ. აგრეთვე შორს მდებარე ეკლესია-მონასტრების ბერების მოწოდება და დახმარება პროდუქტებით თუ სხვა საჭირო ნივთებით.

მოხუცი, პენსიონერი, მარტოხელა პედაგოგების მიმართ განსაკუთრებული რეჟიმი ჰქონდა შემუშავებული. მათი დახმარება, მეურვეობა, თითოეული ჩვენგანის ვალი იყო. „წარმოიდგინეთ, რომ ის თქვენი მშობელიაო“ - გვეტყოდა. ჩვენს უნივერსიტეტს ყოველთვის საუკეთესო რექტორები ჰყავდა, რომლებიც გვერდით ედგნენ ქალბატონ ციალას, მათგან განსაკუთრებით მინდა გამოვიყო ბა-

ტონი როინ მეტრეველი და პრორექტორი თემურ ხუროძე. ისინი წარმოუდგენელი ერთგულებით ეხმარებოდნენ ყველა საქმეში ქალთა საბჭოს.

მრავალმხრივი იყო ქალბატონი ციალას შემოქმედება. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა სპორტის ყველა სახეობის, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მიმართ, თვითონაც სპორტსმენი იყო, კალათბურთელი. არ ჩატარებულა თბილისში არც ერთი მატჩი ფეხბურთში, რომ ის არ დასწრებოდა, თავისი მუდმივი ადგილი ჰქონდა დინამოს სტადიონზე. ამიტომაც იყო, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შექმნილ „ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის“ ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს, ათი წელი უძღვებოდა კლუბის საქმიანობას, ოცდაოთხ მამაკაცთან ერთად.

მისი ინტელექტი ყველა სფეროს სწვდებოდა. ლექსის ყოველ სტრიქონს ისე გრძნობდა, როგორც თავის ძირითად სპეციალობას. პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულს, რამდენი ახალგაზრდა პოეტის ლექსების წიგნის პრეზენტაცია აქვს გაკეთებული, ჩამოთვლა ნამდვილად გაჭირდება. ასევე, არა ერთი გამოფენის მოწყობაში დახმარება ახალგაზრდა მხატვრებს.

ქალბატონი ციალა იყო თავგადაკალებული მკითხველი, კლასიკური, ისტორიული და სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურისა, ჰქონდა მეცნიერისათვის აუცილებელი: ნიჭი და შრომის უნარი. ალბათ, ამიტომაც მიაღწია დიდ წარმატებას. გამოქვეყნებული ჰქონდა ორი მონოგრაფია, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა და სამოცზე მეტი ნაშრომი.

ძნელია ციალა სვანიძის მიერ განვლილი გზის აღწერა ასე ერთი ამოსუნთქვით.

ოთხი ნოემბერი მისი დაბადების დღეა, რომელსაც დიდი სიყარულით ველოდებით ყოველთვის, რადგან ვიცოდით, ეს იქნებოდა პოეზიის, ხელოვნების, სპორტის და ყველა



დარგის დღესასწაული, რადგან ამ დღეს, მის ჭერქვეშ, თავს იყრიდნენ მწერლები, პოეტები, მომღერლები, მხატვრები, სპორტსმენები... საოცრება იყო ეს თავშეყრა, კლასიკურ დონეზე აწყობილი, რომელსაც თვითონ უძღვებოდა.

დღეს კი, ცოტანილა დავრჩით. გვენატრება ყველაფერი ეს და გვაკლია მისი შემართება. როცა რამეზე ვწუხებით, შემოგვცახებდა: „ცხვირი ნუ ჩამოგიშვიათ, ცხოვრება ბრძოლაა, სიცოცხლე ლამაზია, იბრძოლეთ და გადალახეთ ყველა გაჭირვება“.

იმდენად დიდია მისი არყოფნით გამოწვეული ტკივილი, გვინდა ყოველ წუთს გავისხენოთ მისი მშფოთვარე სული, რომ ჩვენს გარემოცვაში მუდამ ვამყოფოთ.

რუსთავში საუნივერსიტეტო კამპუსი ამოქმედდა

4 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია და კიდევ ერთი ნაბიჯი რეგიონში საქართველოს უმაღლესი განათლების ცენტრად ჩამოყალიბების მიმართულებით – საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, რუსთავში, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი საუნივერსიტეტო კამპუსი გახსნეს.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი უკვე 27 წელია არსებობს და მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებასა და უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფას ემსახურება.

გიორგი კვიციანიშვილი: „მე, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა, სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ დღეს, მსოფლიოს წამყვან კლინიკებში მუშაობს ათობით ქართველი, საქართველოდან წასული წარმატებული ექიმი და მათი უდიდესი უმრავლესობა სწორედაც ტვილდიანის უნივერსიტეტის დაფრთხილებულია.“

მისასალმებელია, რომ დღეს ეს უნივერსიტეტი ფართოდ და სტუდენტებს სწავლა უკვე ასეთ სრულიად ახალ სასწავლებელში შეეძლება. საქართველო თანდათან ყალიბდება, როგორც საერთაშორისო განათლების ჰაბი, ცენტრი – რეგიონული და არა მხოლოდ რეგიონული, რადგან ძალიან ბევრი ქვეყანა, რომელიც უშუალოდ ჩვენს რეგიონს მიღმაა, დაინტერესებულია საქართველოში განათლების მიღებით.

საქართველოში დღეს 10 ათასამდე უცხოელი სტუდენტია და აქედან ნახევარზე მეტი განათლებას სწორედ სამედიცინო მიმართულებით იღებს. ეს ადამიანები, ყოველწლიურად, 50 მილიონამდე ლარის კონტრიბუციას ახდენენ საქართველოში, რაც საქართველოს განათლების სისტემისთვის სასიცოცხლოდ საჭირო რესურსია.“

პრემიერ-მინისტრმა პროექტის განხორციელება მიულოცა რუსთაველებს და განაცხადა, რომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის გეგმის ერთ-ერთი მთავარი ღერძი, კონცეფცია პოლიცენტრული, ურბანული განვითარებაა. „ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული, რომ ქალაქებმა, ამ შემთხვევაში რუსთავმა, ნიშური ფუნქცია გამოიხატონ, ერთ-ერთი ასეთი შეიძლება იყოს სამედიცინო და, საერთოდ, განათლების მიმართულება, აქ არსებული განსაკუთრებული პოტენციალიდან გამომდინარე.“

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი



საუნივერსიტეტო კამპუსი, პირველ ეტაპზე, მხოლოდ უცხოელი სტუდენტების მიღებას გეგმავს. სამომავლოდ კი, იქ სწავლასა და ცხოვრებას ქართველი სტუდენტებიც შეძლებენ. ახალი კამპუსის ტერიტორიაზე დავით ტვილდიანის საზოგადოებრივი საქეთნო კოლეჯის ფილიალის გახსნაც იგეგმება.

კამპუსში, რომელიც 400 სტუდენტზეა გათვლილი, ერთად იქნება განათავსებული სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი ოთახები და სპორტული მოედნები.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია არა მარტო რუსთაველებისთვის, მთელი საქართველოსთვის იმიტომ, რომ მსოფლიოს საგანმანათლებლო რუკაზე კიდევ ერთი წერტილი გაჩნდა უმაღლესი ხარისხის სამედიცინო განათლების კუთხით და ეს მოხდა ჩვენს რეგიონში, კავკასიაში, კონკრეტულად – საქართველოში და უფრო კონ-

კრეტულად – ამ არაჩვეულებრივ ქალაქში.


ტვილდიანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ამერიკის, ევროპის და აზიის სამედიცინო დაწესებულებების ვარსკვლავები არიან. ახალი კამპუსი ამ ძალიან წარმატებულ გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

ძალიან მიხარია, რომ კამპუსის გახსნა რუსთავში გადაწყვიტეს, თუმცა თბილისში გახსნის საინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ეს არაჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა. საცხოვრებელი და სასწავლო შენობების შეთავსება ძალიან კომფორტული იქნება უცხოელი სტუდენტებისთვის.


მოგეხსენებათ, რომ განათლების სისტემაში ჩვენი პრიორიტეტია საქართველოში უცხოელების სწავლა, ხოლო განათლების სისტემა, როგორც პრემიერმა დაუწერა ტვილდიანის უნივერსიტეტს მისასალმებელ სიტყვაში, ჩვენი მთავრობის ნომერი ერთი პრიორიტეტია. ამიტომაც ძალიან დიდი დღეა დღეს.“




გამომცემლობა „აქალიგანტლება“



თამაზ ვასაძე
ქართული პოეტური პროზის
ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტარული ტექსტი და
ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 12 ლარი




ფიზიკა
საატმოსფერო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბარია
ფასი – 10 ლარი



**ქართული ენის
გრამატიკა**
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე
ფასი – 7 ლარი



თამაზ ვასაძე
ქართული ენის სასკოლო
განმარტებითი
ლექსიკონი (ორტომისი)
ფასი – 10 ლარი



ბიოლოგია
ეროვნული
გამოსცემისთვის
ლ. ბურღლიაძე, ნ. სიხარულიძე,
ქ. მალრაძე, დ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი



მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ძ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >